




სამედიცინო

კანკეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან

№1-2 (319-320) იანვარი-თებერვალი, 2019 წელი

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი –
ყვანაზა მაღარეიშვილი და მოტივირებული ახალგაზრდების არჩევანი**



- ❖ ახლოვანი ისტორიის სამედიცინო განათლება
 - ❖ ყვანაზა მოთხოვნადი სამედიცინო სკოლა
 - ❖ 8000-ზე მეტი სტუდენტი, მათ შორის – 2300-ზე მეტი მსოფლიოს 68 ქვეყნიდან
 - ❖ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან თანამშრომლობით
 - ❖ მოკლე და გრძელვადიანი სწავლადიანი პროგრამების პროგრამები განათლების დიპლომაზე, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე
 - ❖ 120-ზე მეტი პრინციპული უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან
 - ❖ ინდივიდუალური პროგრამების სანაწარმო პროგრამები
 - ❖ Erasmus+-ის გასვლითი პროგრამა
- 27 წამყვან ევროპულ უნივერსიტეტში

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი –
ერთდართი უნივერსიტეტი საკუთარი კლინიკური ბაზებით**



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უმაღლესი სამედიცინო განათლების ძირითადი კერაა საქართველოში, განვითარების თითქმის ასწლოვანი ისტორიით.

კას და დაწესებულებას ამშვენებს საქართველოში, ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

დიდი და საპატიოა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

ცოდნისა და კვლევების აკადემიური ხარისხი; დემოკრატიულობა; მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება.

2018 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა შეფასებების და უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის და განხილვის შემდგომ მიიღეს გადაწყვეტილება ავტორიზაციის მოთხოვნებთან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული შესაბამისობის და ავტორიზაციის მინიჭების შესახებ მაქსიმალური შეფასებით, ასევე, დადებითად გადაწყდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხიც.

დიპლომამდელი, დიპლომის შემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული მიმდინარეობა სამედიცინო უნივერსიტეტს მიმზიდველს ხდის არა მარტო საქართვე-

ლოს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფილებიან ნევრია, რაც ნიშნავს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირებაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების ჩამოყალიბებაში უცხოეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

სამედიცინო განათლების მაღალი სტანდარტების რეალიზება სამედიცინო უნივერსიტეტში ტრადიციული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განვითარებას უზრუნველყოფს; ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა, საკუთარი მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება და სამედიცინო სერვისისადმი თანამედროვე გამოწვევების ღირსეულად დაძლევის ამოცანა თამამი, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმისკენ გვიბიძგებს.

ბოლო წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შეემატა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები:

❖ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება;

❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ჩვენი პარტნიორია გრენობლის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია UniMan (საფრანგეთი). პროგრამის დასრულების შემდეგ ორი – ქართული და ფრანგული – დიპლომი გაიცემა; ასევე, UniMan-თან (საფრანგეთი) თანამშრომლობით შექმნილია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა.

❖ ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის - AZW და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს ევროპული სტანდარტების შესაბამისად დაეუფლონ პროფესიას, სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

2018 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ახალი – მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რაც კიდევ უფრო კომპორტულ გარემოს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტში განათლების მისაღებად ჩამოსულ საერთაშორისო სტუდენტებს.

ამჟამად თსუ-ის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერ-

თაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON 2020). ყოველწლიურად უნივერსიტეტის 300-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან საერთაშორისო მობილობის პროგრამებში განათლების დიპლომამდელ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას მასწავლებელზე ორიენტირებული სისტემის საპირისპიროდ (რომელიც დროზე არაა დამოკიდებული და აპრიორი ემყარება დამკვეთს, რომ პროფესორმა იცის, რა უნდა ასწავლოს სტუდენტს). სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს კურიკულუმის დაგეგმვას, იგი სასწავლო პროგრამის სტრუქტურისთვის შესაბამისობაზეა ფოკუსირებული, გამომდინარე საზოგადოებაში მისი მომავალი სოციალური და პროფესიული როლიდან.

ამიტომაც, საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და, რაც მთავარია, განხორციელების ხარისხის ინდიკატორების შეფასების კვლევა და შედეგების კრიტიკული ანალიზია. სამისოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია მრავალგვარი სამიზნე კითხვარი და კრიტიკიუმი, რომელთა გამოყენებასა და ინტერპრეტაციაში, ხარისხის სამსახურთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. ეს ყოველივე განსაზღვრავს კურიკულუმის სწორად დაგეგმვას, მისი განხორციელების ეფექტურობის, შედეგების ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმებით შესწავლის და შეფასების პროცესთა ჯაჭვის არსებობას.

ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს – აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს – შქონდა, აქვს და ექნება პროფესიული სრულყოფისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

თუ თქვენი არჩევანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური სივრცის ნევრობაა, გარწმუნებთ, რომ ამ გადაწყვეტილების წარმატებით რეალიზების საქმეში დღეს, ხვალ და მუდამ, თავისი ცოდნით და ავტორიტეტით, თქვენ გვერდითაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულთა სახელოვანი კოჰორტა და სტუდენტობა.

პროფესორი
ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ჩვენი ოჯახი და დასაყრდენი



სტუდენტური თვითმმართველობა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტების მიერ არჩევის გზით არჩეულ გუნდს, რომლის კომპეტენციაა უნივერსიტეტის საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტების წარდგენა, ადმინისტრაციულ საქმიანობაში ჩართვა და უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის მიღება.

2018 წლის 21 ნოემბერს, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ახალი გუნდი დაკომპლექტდა, როგორც

ქართველი, ამავდროულად – საერთაშორისო სტუდენტებით. 17 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო დარბაზში გაიმართა გენერალური ასამბლეა, სადაც სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად აირჩიეს ანა კაკაბაძე, ვიცე-პრეზიდენტებად – გიგი გზობავა, ნინო სახანბერიძე, ნინა იაკობაშვილი და Sudhantirappriyan Sivanesan.

სტუდენტური თვითმმართველობის მიზანია: სტუდენტებისთვის თანასწორი, კონკურენტუნარიანი, აქტიური, საინტერესო, ინ-

ფორმატიული და სახალისო გარემოს შექმნა. გუნდი ზრუნავს დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობები, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტების განვითარებისკენ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისთვის პრიორიტეტულია სოციალური პროექტების ხელშეწყობა, რისი ნათელი მაგალითიც „სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამაა.“ ზემოაღნიშნული გულისხმობს

სწავლის სავსაშუალო დაფინანსებას წლის განმავლობაში, რითაც არაერთი სტუდენტი სარგებლობს. სტუდენტური თვითმმართველობა მუშაობს მრავალფეროვან პროექტებზე, ხოლო იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ იდეები, სურვილი და მოტივაცია მათი განხორციელებისა, სტუდენტური თვითმმართველობის კარი ყოველთვის ღიაა. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა საინტერესო და დაუფინანსებლად სტუდენტურ ცხოვრებას გაპირდება.



მედიცინის ფაკულტეტი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი გამორჩეული და აღიარებული არა მარტო საქართველოში, არამედ – მთელ კავკასიაში. ტრადიციულად, მედიცინის ფაკულტეტზე, ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი აკეთებს არჩევანს. ექიმობის მსურველებს საშუალება აქვთ, მიიღონ საერთაშორისო კლასის განათლება, რაც მათ გზას უხსნის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დიპლომის შემდგომი განათლების მისაღებად და სამუშაოდ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აფასებს ახალგაზრდების გადაწყვეტილებას ამ ურთულესი, მაგრამ, ამასთანავე, მეტად ჰუმანური და საინტერესო პროფესიის არჩევის გამო. მედიცინის ფაკულტეტი ითვალისწინებს მათ გულწრფელ სურვილს, ახლო მომავალში, დაავადებათა პრევენციითა და მკურნალობით გააუმჯობესონ ადამიანთა ცხოვრება და მოუწოდებს მათ, გამოიყენონ ყველა ის შესაძლებლობა, რასაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სთავაზობს; არ დაზოგონ დრო და ენერგია სასურველი მიზნის მისაღწევად.

ჩვენთან ყველაფერი თავად სტუდენტზეა დამოკიდებული. მათთვის, ვისაც ნამდვილად სურს, მომავალი დაუკავშიროს მედიცინას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი საუკეთესო არჩევანია!

მედიცინის ფაკულტეტის ამოცანაა, მოამზადოს კომპეტენტური და სრულფასოვანი ექიმები, ამასთანავე, ჭეშმარიტების მაძიებელი მკვლევრები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ხელი შეუწყონ სტუდენტთა შესაძლებლობების, მოტივაციის მაქსიმალურ გამოვლენას როგორც დიპლომამდელ, ასევე, დიპლომის შემდგომი განათლებისა და მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში.

მედიცინის ფაკულტეტს წელს ცალკე გამოეყო მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რომელიც უცხოელი სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე განათლების მიღების მსურველ უცხოელთა რიცხვი გაცილებით მეტია, რის გამოც ჩარიცხვამდე მათ სეროოზული კონკურსის გავლა უწევთ.

ჩვენი მიზანია, სტუდენტთა სწავლების ხარისხის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება.

მედიცინის ფაკულტეტზე 2 პროგრამა ხორციელდება: დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (სწავლების ენა ქართული) და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (სწავლების ენა ინგლისური).

დიპლომირებული სწავლება ერთსაფეხურიანია და მისი ხანგრძლივობა 6 წელია. სასწავლო პროგრამების მიზანია, აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე ექიმები, რომლებსაც აქვთ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საჭირო ცოდნა და კლინიკური პრობლემების გადასაჭრელად ამ ცოდნის გამოყენების უნარი. კურსდამთავრებულები მზად არიან დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის, როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ.

სამედიცინო კადრი მზადდება ქვეყნის/



საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომირებული მედიკოსი შეიძლება დასაქმდეს უმცროს ექიმად, რომელიც მუშაობს ექიმი სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ან სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში ან დოქტორანტურაში.

რეზიდენტურის დასრულების შემდეგ ის ხდება ექიმი სპეციალისტი: თერაპევტი, ქირურგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი, გინეკოლოგი, ნევროპათოლოგი, პედიატრი, ფსიქიატრი და სხვ.

დოქტორანტურის დასრულების შემდეგ მას ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი მედიცინაში.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (US MD-Doctor of Medicine Degree Program) შემუშავდა და ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს, რომელსაც ჩაბარებული ექნება ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდები, შეუძლია, დიპლომის შემდგომი განათლება მიიღოს და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ (აშშ და სხვ).

ექიმობა არის რთული და, ამასთანავე, მეტად პრესტიჟული პროფესია. ექიმი სწავლობს მთელი ცხოვრების მანძილზე, რათა პრაქტიკული საქმიანობა აწარმოოს სამედიცინო სფეროში განხორციელებული ახალი მიღწევების გამოყენებით.

ფაკულტეტზე, დიპლომამდელი განათლების ეტაპზე, ბოლო წლებში, მნიშ-

ვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა: დაიხვეწა სწავლებისა და შეფასების მეთოდიკა. სწავლების მეთოდებიდან დიდი ყურადღება ექცევა შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას – სტრუქტურირებული შემთხვევის განხილვას, იშვიათი შემთხვევის განხილვას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევის ანალიზს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას.

საბაზისო კურსის სწავლებისას მნიშვნელოვანი დრო ეთმობა პრობლემის კლინიკური ასპექტების განხილვას, ხოლო კლინიკური სწავლების ეტაპზე სტუდენტი კვლავ უზრუნველდება და ახალ ასპექტში განხილვას ფუნდამენტურ საგნებში ნასწავლ საკითხებს.

სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნას, რაშიც სტუდენტებს დიდად უწყობს ხელს თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი. აქ ექიმისთვის აუცილებელი ყველა კომპეტენცია სწავლების პირველი დღეებიდანვე ყალიბდება.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აუცილებელ ნაწილად იქცა სამედიცინო უნარ-ჩვევების სწავლება. უნივერსიტეტში შექმნა სპეციალური განყოფილება, რომლის მოვალეობაც ამ უნარ-ჩვევების სწავლება და მონიტორინგია. სწავლების II წლის პროგრამას დამატება სავალდებულო საგანი – „სამედიცინო კვლევის საფუძველები“. აღნიშნული საგნის სწავლებით გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის ისეთი კომპეტენციის უზრუნველყოფა, როგორიცაა: საკითხის სწორად დაყენება, საძიებო სისტემების გამოყენება, მიღებული ინფორმაციის სწორად შეფასება, სტატისტიკური ანალიზი, მომავალი კვლევის სწორი დაგეგმვა. ყურადღება ექცევა დაინტერესებული და მოტივირებული სტუდენტების

ჩართვას დეპარტამენტებში მიმდინარე სამედიცინო კვლევებში.

ფაკულტეტის სამედიცინო საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნივერსიტეტთან სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის შემოერთებამ. მეცნიერები აქტიურად ჩაერთვნენ სტუდენტთა სწავლების პროცესში, სტუდენტებს კი სამედიცინო პროექტების განხორციელების მეტი შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოს მედიცინაში ეროვნულმა აკადემიამ სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი ორჯერ აღიარა როგორც წლის საუკეთესო სამედიცინო-კვლევითი დაწესებულება მედიცინის დარგში.

მედიცინის ფაკულტეტზე დაინერგა სტუდენტის ცოდნის შეფასების თანამედროვე, ობიექტური მეთოდები. შეფასების პროცესი უფრო მრავალფეროვანი და გამჭვირვალე გახდა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სრულად კომპიუტერიზებული საგამოცდო ცენტრი. დაიხვეწა და დიდი ყურადღება ეთმობა მომავალი ექიმის უნარ-ჩვევების შეფასებას. მთელ რიგ დისციპლინებში მომავალი ექიმების ცოდნა უკვე მათი კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობის მიხედვითაც ფასდება. 2008-2009 სასწავლო წელს ფაკულტეტზე პირველად ჩატარდა კლინიკური გამოცდა პროპედევტიკაში. 2013-2014 სასწავლო წლიდან შეიქმნა გინეკოლოგიაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) საშუალებით. მიმდინარე სასწავლო წლიდან ამ სახის გამოცდა ტარდება კიდევ ორ საგანში – პედიატრიაში და მინერალურ-სტრუქტურულ მედიცინაში. ამ ტიპის გამოცდა, სტუდენტის სხვა კლინიკური უნარების შეფასებასთან ერთად, მისი კომუნიკაბელობის, გუნდში მუშაობის უნარის, მიღებული ცოდნის გადაცემის უნარის შეფასებასაც მოიცავს.

სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში ფაკულტეტს დიდად შეუწყობს ხელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებმა და პროექტებმა, რომლებიც ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად.

ამდენად, ფაკულტეტის მიზანია, მომავალი ექიმების სწავლება ეფუძნებოდეს მეცნიერებას, სწავლების სტრატეგიად კი არჩეულია სწავლება ინტეგრირებული პროგრამით.

მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტს საშუალება აქვს, გაიაროს სტაჟირება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მსოფლიოს სხვადასხვა სამედიცინო სკოლის კლინიკაში.

უკანასკნელ წლებში ფაკულტეტის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების სამედიცინო სკოლების პროფესორები. ისინი კითხულობენ ლექციებს სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, ატარებენ სამედიცინო კონსულტაციებს, ორთადაცელებს, თსუ-ის პროფესორებთან ერთად ახორციელებენ სამედიცინო პროექტებს.

ფაკულტეტს სამომავლოდც დიდი მიზნები აქვს, რომელთა განხორციელება პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სისხლბოროცეული საქმეა. იმედა, ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება ჯანდაცვის გაუმჯობესება 21-ე საუკუნეში.



დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 300

საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	65%+1	2	
ზოგადი უნარები	65%+1	3	
უცხოური ენა	65%+1	2	
ბიოლოგია	70%+1	5	170
ქიმია	70%+1	5	100
ფიზიკა	70%+1	5	10
მათემატიკა	70%+1	5	20

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა — უმაღლესი სამედიცინო განათლების ფლაგმანმა საქართველოში — 2013-2014 სასწავლო წელს მედიცინის ფაკულტეტზე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროექტს ჩაუყარა საფუძველი: წარმატებით დაიწყო და ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა თსუ-ისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლასთან (ESOM) ერთობლივად.

პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო საბაზისო, პრეკლინიკურ და კლინიკურ დისციპლინების სრულ ინტეგრაციას. სწავლების პროცესი აქტიურად იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის მეთოდებს, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიების ქსელს, სიმულატორებს, შემთხვევის დემონსტრაციას ავადმყოფის უშუალო მონაწილეობით და ექიმთა მულტიდისციპლინური გუნდის აქტიური მონაწილეობით.

სტუდენტები სწავლის პირველივე ეტაპზე შეისწავლიან ჰუმანიტარულ მეცნიერებებს: სოციალურ-კულტურული და სამედიცინო ანთროპოლოგია, ცივილიზაციების ისტორია, ხელოვნების ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მსოფლიო ლიტერატურა, მედიცინის ისტორია; შეისწავლიან მეტად საინტერესო სასწავლო კურსს — „გახდი ექიმი“ (Becoming a Doctor), რაც სტუდენტებს სწავლების პირველივე წლიდან პაციენტებთან ურთიერთობის საშუალებას აძლევს და ითვალისწინებს ამბულატორიებსა და კლინიკებში ზოგადი

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა



საექიმო უნარ-ჩვევებისა და კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სწავლის, კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის გარკვეული ეტაპები გაიარონ ემორის უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი (MD). სწავლის პერიოდშივე ამერიკის შეერთებული შტატების სა-

მედიცინო სალიცენზიო გამოცდების (United State Medical Licensure Examination-USMLE) წარმატებით ჩაბარება დიპლომირებულ მედიკოსს საშუალებას აძლევს დიპლომის შემდგომი განათლება და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ (მათ შორის, აშშ-ში).

პროგრამის დაგეგმვასა და მიმდინარეობაში აქტიურად არიან ჩართულნი

ემორის უნივერსიტეტის პროფესორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები: სამედიცინო მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორი გორდონ ჩარჩორდი, ონკოლოგიის პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი, ნეირომეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი, პროფესორი ჰოვარდ კუმბერი და სხვ. ისინი ხშირად სტუმრობენ თსუ-ს, მუშაობენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ყოველთვის ჰქონდათ აშშ-ის და სხვა საერთაშორისო სალიცენზიო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა, თუმცა, საამისოდ ისინი დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სწავლების პრინციპი და სტრუქტურა ემზარება სტუდენტს, სწავლის პროცესშივე ჩააბაროს აშშ-ის სალიცენზიო გამოცდების ეტაპები. პროგრამას უკვე ჰყავს სტუდენტები, რომლებმაც, სწავლის პარალელურად, აღნიშნული გამოცდის პირველი საფეხური წარმატებით ჩააბარეს. ნოდარ მასისურაძე, თამარ თამარაშვილი, ნიკოლოზ პოსტაშვილი, თამარ პაპიძე, ნიკოლოზ ქარაზანაშვილი, ფეტი ონალი, ნიკოლოზ თავბერიძე, ლეონ მარტის ნიგელი, დანიელა ფოსტერი, თეონა ფირცხალავა, აჯაი პრანაი შაჰი უკვე მომდევნო გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებიან. თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მეთორმეტე სემესტრის სტუდენტმა ნოდარ მასისურაძემ უკვე შეძლო, წარმატება მოეპოვებინა აშშ სალიცენზიო გამოცდის მეორე საფეხურზეც.



თეთრი ხალათების ხანა მონია



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა სტუდენტებს „თეთრი ხალათების ცერემონიით“ ეგებება. გასული წლების მსგავსად, თეთრი ხალათების რიგით მეექვსე ცერემონია ამჯერადაც პომპეზური იყო.

ლონისძიება, ტრადიციულად, თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ გახსნა. ახლადჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება საპატიო სტუმრებთან ერთად საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ვიზაბეთ რუდმა მიულოცა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის დაწყების კვირეულისა და „თეთრი ხალათების ცერემონიალში“ მონაწილეობის მისაღებად საქართველოში თსუ-ის მოწვევით იმყოფებოდნენ ამერიკელი პროფესორები.

სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორებმა: ასისტენტ-დეკანმა გორდონ ჩარჩორდმა; ჰემატოლოგიისა და ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა, მერი ჯო ლეკოვიჩმა; კლინიკური განათლების ასოცირებულმა დეკანმა, ჯოელ ფელნერმა; ასევე, ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ემერიტუს დეკანმა ნათანიელ გოზანსკიმ, გრეიდის მემორიალური ჰოსპიტლის (აშშ, ატლანტა) პათოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორმა, გაბრიელა ოპრემამ; ინტერვენციული რადიოლოგიის პროფესორმა, შონ დარიუშნიამ; მორჰუსის სამედიცინო უნივერსიტე-

ტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, როლანდ მეთიუსმა; ამავე სკოლის პულმონოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ერიკ ფლანომ და პიტსბურგის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის რადიოლოგიის ასისტენტ-პროფესორმა, ელიოტ გიზანსკიმ.

თეთრი ხალათების საზეიმო ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს: მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის თეთრი ხალათი წარმატებული სამედიცინო კარიერისა და ექიმის შეუბღალავი ავტორიტეტის სიმბოლოს წარმოადგენს. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის 2024 წლის გამოსავები კურსის ღონისძიებაზე მონაწილეობა საპატიო სტუმრებმა პროგრამის მეექვსე თაობის სტუდენტები ქართველ კოლეგებთან ერთად თსუ-ისა და ამერიკული პროგრამის ემბლემაიანი თეთრი ხალათებით შემოსეს.

ცერემონიაზე პროგრამის ხელმძღვანელებმა, თსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორმა არჩილ უნდილაშვილმა თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის გასული 6 წელი მიმოიხილეს და მისი შედეგები შეაჯამეს. პროგრამამ პირველი სტუდენტები სწორედ 6 წლის წინ მიიღო. ისინი სწავლას 2019 წელს დაასრულებენ.

საზეიმო ცერემონიას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და უცხოელ სტუმრებთან ერთად,

თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტები, მშობლები და მეგობრები დაესწრნენ.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) ხელშეწყობით 2013 წლიდან ფუნქციონირებს. სასწავლო პროგრამა ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კურიკულუმზეა დაფუძნებული. პროგრამის სტრუქტურა უადვილებს სტუდენტებს სწავლის პროცესშივე ჩააბარონ აშშ სამედიცინო ლიცენზირების გამოცდის (USMLE) ორივე საფეხური ეტაპობრივად და საშუალებას აძლევს კლინიკური გამოცდილება მიიღონ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მხრივ პროგრამას უკვე აქვს წარმატება.

ამჟამად პროგრამის პირველ-მეორე სემესტრზე 74 სტუდენტი ირიცხება, მათგან – 27 საქართველოს მოქალაქეა. 2019 წლის მონაცემებით დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე 305 აქტიური სტუდენტი სწავლობს, მათგან – 114 საქართველოს მოქალაქეა.



დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (USMD) მისაღები კონტინგენტი – 20

საგამოცდო სახანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი სახანის მიხედვით	
ქართული ენა და ლიტერატურა	65%+1	2		
ზოგადი უნარები	65%+1	2		
უცხოური ენა	80%+1	3		
ბიოლოგია	70%+1	5		17
ფიზიკა	70%+1	5		3

სტომატოლოგიის ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთ-ერთი წარმატებულია.

ფაკულტეტის მიზანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყოს კონსერვაციული სპეციალისტი, აღჭურვილი ღრმა თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, რაც საექიმო საქმიანობაში მისი წარმატების საწინდარია.

ფაკულტეტზე აკადემიური პროცესი მიმდინარეობს ქვეყნის ძირითადი საგანმანათლებლო მარგულირებული დოკუმენტებისა და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პრინციპების შესაბამისად.

პროგრამის მოცულობა არის – 300 ECTS კრედიტი; ხანგრძლივობა – 5 წელი.

2012 წლიდან ფაკულტეტზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მოქმედებს დიპლომირებული სტომატოლოგიის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო 2017 წლიდან ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა.

სტუდენტების სწავლა-განათლებლასა და სტომატოლოგიის სპეციალისტის დაუფლებაზე ზრუნავენ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და მონვეული პედაგოგები. მომავალი თაობების აღზრდას ემსახურება შემდეგი სასწავლო მიმართულებები და დეპარტამენტები:

- ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიის დეპარტამენტი;
- ბავშვთა და მოზარდთა ყბა-სახის ქირურგიისა და ქირურგიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი;
- ოდონტოლოგიის დეპარტამენტი
- პაროდონტოლოგიისა და ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტი;
- ორთოდონტიის დეპარტამენტი
- ორთოპედიული სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ორთოპედიის მიმართულება

სტომატოლოგიის ფაკულტეტი



საფანტომო ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი ქირურგიული სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის მიმართულება პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტი; ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტი. პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგიის დეპარტამენტი აპოლონ ურუმუძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში არსებობს

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, სადაც დანერგულია სემესტრების სტუდენტებს საშუალება აქვთ ფანტომებზე ათვისონ კონკრეტული კლინიკური მანიპულაცია თუ ჩარევა, ხოლო მაღალსემესტრულთან პრაქტიკული მეცადინეობა მიმდინარეობს პაციენტის დემონსტრირებით და დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში სტუდენტის მაქსიმალურად ჩართვის ფორმით. კლინიკა უნივერსიტეტის მთავარი სარეზიდენტო ბაზაა.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის ტრადიციებმა და მრავალწლიანმა გამოცდილებამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ მომავალი

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) სტომატოლოგიაში

მედიცინაში სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად მრავალი მეთოდი და ხერხია მოწოდებული. განათლების მსოფლიო ექსპერტთა მიერ შემუშავებული ეს მეთოდები მხოლოდ მაშინ რეალიზდება და ჩვენს რეალურ სტრუქტურაში შედგება, თუ უმაღლეს სასწავლებლებში მათი აქტიური დანერგვა მოხდება. ამ საქმეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი რგოლების სურვილი და მხარდაჭერა, მასწავლებლების დიდი ძალისხმევა, მათი თვითგანათლება, ადეკვატური სასწავლო გარემო და მოტივირებული სტუდენტები სჭირდება.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა (ისევე, როგორც მედიცინის) სპეციალისტად ჩამოყალიბებამდე სწავლისა და კომპეტენციების შექმნის თანმიმდევრული ეტაპები უნდა გაიარონ: იცოდნენ ის, რაც უნდა აკეთონ, იცოდნენ თუ როგორ უნდა აკეთონ, უჩვენონ როგორ უნდა აკეთონ და აკეთონ თავად. თითოეულ ამ ეტაპზე სტუდენტის ცოდნა სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით უნდა შეფასდეს. თუ ცოდნის შექმნის პირველ და მეორე საფეხურზე (იცის, იცის როგორ) სტუდენტის შეფასება ფაქტების ამსახველი და კლინიკურ კონტექსტზე დაფუძნებული ტესტებითა შესაძლებელი, მესამე და მეოთხე ეტაპებისთვის მხოლოდ ეს საკმარისი აღარაა. სტუდენტი სწავლების იმ ეტაპზე, როდესაც პროფესორს უკვე უნდა აჩვენოს, თუ როგორ ასრულებს ამ ან თუ იმ სამედიცინო მანიპულაციას, განსხვავებული ხერხით უნდა შეფასდეს. ამის რეალიზება მხოლოდ ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე (OSCE - Objective Structured Clinical Examination) შესაძლებელია.

მედიცინაში, სტომატოლოგიისა და სხვა სფეროებში OSCE-ით სტუდენტთა მხოლოდ სპეციფიკური, კლინიკური უნარები ფასდება. კანდიდატებმა უნდა მოახდინონ არა საბაზისო თეორიული ცოდნის, არამედ კლინიკური უნარების დემონსტრირება. თეორიული საკითხების ცოდნის შეფასება OSCE-მდე ხდება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფამ, ნოვაციური მეთოდოლოგიების დადგენილებამ, უნივერსიტეტის პროფესორთა აკადემიური განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა, რომლებიც ევროპულ სამედიცინო განათლებასთან დაახლოებას ისახავს მიზნად, ძირითადად შეცვალა სტუდენტთა ცოდნის შეფასების კონცეფცია და ხელი შეუწყო OSCE-ის დანერგვას სტომატოლოგიის ფაკულტეტზე.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტში, 2010 წლიდან, სტუდენტთა ცოდნის შეფასება ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე ხდება. დეპარტამენტი სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ ფანტომებზე ათვისონ კონკრეტული კლინიკური მანიპულაცია თუ ჩარევა, ხოლო მაღალსემესტრულთან პრაქტიკული მეცადინეობა მიმდინარეობს პაციენტის დემონსტრირებით და დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში სტუდენტის მაქსიმალურად ჩართვის ფორმით. კლინიკა უნივერსიტეტის მთავარი სარეზიდენტო ბაზაა.

ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე ხდება. დეპარტამენტი სტომატოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი ნაწილი სტრუქტურული ერთეულია. აქ სტომატოლოგიის უმთავრესი პრობლემები, კლინიკური მაგარი ქსოვილების კარიესი, არაკარისული დაავადებები და მათი მართვა, კბილის პულოპისა და პერიოდონტის ენდოლოგიური დაავადებების მკურნალობა და სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობის ინსანვლება. დეპარტამენტში სწავლება 5 სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს (III, IV, VI, VII და X) და აქ სტუდენტს პირველად უხდება სტომატოლოგიურ პაციენტთან ურთიერთობა. სწორედ ამიტომ, ოდონტოლოგიის დეპარტამენტში სტუდენტთა ცოდნის შეფასების ეს ხერხი ყველაზე უფრო მისაღები, ეფექტური და ინფორმატიულია.

OSCE ოდონტოლოგიის დეპარტამენტში VI და VII სემესტრების დასრულების შემდეგ ტარდება. III და IV სემესტრებში სტუდენტი ნინაკლინიკურ (საფანტომო) ოპერაციულ ოდონტოლოგიასა და ენდოლოგიას სწავლობს, სადაც ძირითადი დრო ამ საგნების თეორიულ შესწავლას და ნინაკლინიკური პრაქტიკული უნარების ათვისებას ეთმობა. VI და VII სემესტრების ბოლოს კი, როდესაც სტუდენტს უკვე აქვს კლინიკური რეალური პაციენტებთან ურთიერთობის გამოცდილება, OSCE-ზე მათ კლინიკურ აზროვნებას, პაციენტთან კომუნიკაციას და კლინიკური მანიპულაციების შესრულების უნარებს ვაფასებთ.

OSCE-ის ჩატარებისას, უპირველეს ყოვლისა, ვავარებთ ლოჯისტიკის საკითხებს. აუცილებელია კომფორტული, თანამედროვე საგამოცდო გარემოს შექმნა. ოდონტოლოგიის დეპარტამენტის იზოლირებული ტერიტორია და სამკურნალო დარბაზები ამის საშუალებას იძლევა.

VI და VII სემესტრებში სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები კლინიკური ოპერაციული ოდონტოლოგიის (VI) და კლინიკური ენდოლოგიის პროსედურების (VII) უფლებიან. შესაბამისად საგამოცდო სივრცე ისე უნდა განაწილდეს, რომ სტუდენტებს კლინიკური

უნარების დემონსტრირების მაქსიმალური საშუალება მიეცეთ. ამისთვის ე.წ. საგამოცდო სადგურების მოწყობა საჭიროა. სადგურები ერთმანეთისგან მაქსიმალურად უნდა გამოიყოს. თითოეულ სადგურს თავისი ნომერი აქვს, რომელიც სტუდენტისთვის ადვილად შესაძენე ადგილზე გამოკრულია. ოდონტოლოგიის დეპარტამენტში OSCE-ის ჩასატარებლად 11 სადგური გვაქვს მონყობილი. მათგან VI სემესტრში 9 აქტიურია, 2 კი – დასვენების, ხოლო VII სემესტრში 10 აქტიური და 1 დასვენების. თითოეულ სადგურში სათანადო დავალების შესასრულებლად სტუდენტს 6 წუთი აქვს გამოყოფილი. სადგურებს შორის ინტერვალი (დრო, როდესაც სტუდენტები სადგურიდან სადგურში გადაადგილებიან და მომავალი დავალების პირობას ეცნობიან) 1 წუთს შეადგენს. ერთი საგამოცდო ციკლის ხანგრძლივობა 77 წუთია. ერთ ციკლზე მხოლოდ 11 სტუდენტის შესასრულებლად სტუდენტს 6 წუთი აქვს გამოყოფილი. სადგურიდან სადგურში სტუდენტის გადაადგილება ზუსტად სწავლით ხდება. ნინასანარ არცერთმა სტუდენტმა არ იცის, თუ რომელი საგამოცდო სადგურიდან დაინყებს გამოცდას. მთავარია, რომ იგი აუცილებლად მომდევნოში გადაადგილდეს. ასე მაგალითად: თუ პირი გამოცდას იწყებს №1 სადგურიდან, შემდეგი სადგური №2 იქნება, შემდეგი №3 და ა.შ. გამოცდას კი სტუდენტი №11 სადგურიდან დაასრულებს. თუ გამოცდა №11 სადგურიდან იწყება, სტუდენტის შემდგომი გადაადგილების სადგური №1 იქნება, შემდეგი №2, გამოცდა კი

თაობის სტომატოლოგების აღსაზრდელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კლინიკურ ბაზებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფაკულტეტზე ყველა პირობა შექმნილი სტუდენტთა საბაზისო მომზადებისა და პრაქტიკული დახელოვნებისთვის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ კლინიკურ ბაზებზე.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების სწავლება მიმდინარეობს მაღალი დონის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზებზე:

- თსსუ-ის 1 საუნივერსიტეტო კლინიკა;
- თსსუ-ის გ. ჟვანიათა სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა;
- თსსუ-ის აპ. ურუმუძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა;
- თსსუ-ის N1 სტომატოლოგიური კლინიკა;
- თსსუ-ის №N2 სტომატოლოგიური კლინიკა.

2010 წლიდან, პირველად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, დანერგა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა — OSCE.

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე აღიზარდა არაერთი ღირსეული თაობა. ყოველწლიურად მზადდება რეზიდენტთა ახალი ნაკადი და დოქტორანტები.

თსსუ-ში სისტემატურად ჩამოდიან პროფესორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ბრაზილია, ჩეხეთი, უკრაინა, ლიტვა და ა.შ.), რომლებიც სტუდენტებისთვის კითხულობენ ლექციებს და ატარებენ ოპერაციებს.

ფაკულტეტი აფასებს და ითვალისწინებს მომავალ ექიმთა გულწრფელ სურვილს, კარგად დაეუფლოს თანამედროვე სტომატოლოგიის მიღწევებს და ხარისხიანი მკურნალობით დაუბრუნონ ადამიანებს ჯანსაღი ღმობილი.

ფაკულტეტის მიზანია, თითოეული სტუდენტის ინტერესის გაცნობა და მაქსიმალური თანადგომა, მათი ყველა საქმიანი ნინადადებისა და რჩევების გათვალისწინება.

№10 სადგურში დასრულდება. OSCE-ის სტრუქტურას და სქემას სტუდენტებს ბოლო ლექციაზე ვაცნობთ. სასწავლო ცხრილი ისე ეწყობა, რომ ბოლო პრაქტიკული მეცადინეობებზე გამოცდამდე მათ ყოველთვის აქვთ მოსამზადებლად საკმარისი დრო. OSCE-ის დაწყების წინ ინსტრუქტორი სტუდენტებს კიდევ ერთხელ შეახსენებს გამოცდის მიმდინარეობის სპეციფიკას. თითოეულ სტუდენტს ურიგდება სტუდენტის საგამოცდო სამასლოვრო. ხალათზე უმაღრმეს ბეჭეტი, რომელზეც საგამოცდო სადგურის ნომერია აღნიშნული და საიდენტიფიკაციო კოდი. არცერთი შემფასებლისთვის არ არის ცნობილი სტუდენტის სახელი და გვარი.

თითოეულ სადგურს კონკრეტული ქულა აქვს მიჩნეული. სადგურში სტუდენტის შედეგებს შემფასებელი შეფასების სპეციალურ ფურცელში ინიშნავს, რომელშიც დეტალურადაა განხორციელებული შეფასების კრიტერიუმები და მითითებულია ქულები.

დასვენების სადგურზე სტუდენტებს შეუძლიათ 6 წუთის განმავლობაში გამოეთიშონ საგამოცდო გარემოს, დაისვენონ და გააგრძელონ წარმატებული გზა.

გამოცდის დასრულებისას შეფასების ფურცლები კურატორს ცალკე ოთახში გადააქვს, სადაც მიმდინარეობს მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება. ამ დროს გამოვლინდება არამართვადი გამოცდის კონტინგენტის საბოლოო ცოდნის მაჩვენებელი, არამედ ცალკეული სადგურის მასასათბებლებიც (რამდენად გაუჭირდათ ამ რამდენად ადვილად დაძლიეს ეს თუ ის საგამოცდო სადგური).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ადამიანური რესურსების საკითხი ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე. 11 სადგურს 22 დამკვირვებელი, შემფასებელი და ექიმის ასისტენტი ემსახურება, რომლებსაც ნინასანარ სპეციალური ტრენინგი აქვთ გავლილი. მხოლოდ ამ გუნდის ერთობლივი ძალისხმევით მოგვეცა საშუალება დაგვეწერა OSCE სტომატოლოგიის ფაკულტეტზე.

სასიზარულოა, რომ ცოდნის შეფასების ეს მეთოდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელდა. იგი არათუ პოსტსაბჭოთა სივრცის, არამედ ევროპის ბევრი ქვეყნის უმაღლესი სამედიცინო-საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც კი არ არის დანერგული. ნორვეგია (ოსლო) და დიდი ბრიტანეთის (ლიდსი) უნივერსიტეტებში მიღებულია გამოცდილებამ სტიმული მოგვცა და გავავადოვა გამოცდების ახლებულ სტილზე გადასვლა.

დიაგნოზირებადი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა			
საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის %	კოეფიციენტი	მისაღები კონტინგენტი – 150
პარათული ენა და ლიტერატურა	35%+1	2	
ზოგადი უნარები	35%+1	3	
უსწორი ენა	35%+1	2	
ბიოლოგია	35%+1	5	90
ქიმია	35%+1	5	20
ფიზიკა	35%+1	5	20
მათემატიკა	35%+1	5	20

ფარმაციის ფაკულტეტი



ფარმაციის მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ფარმაცევტული საქმიანობა პაციენტზეა ორიენტირებული. მისი მთავარი მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტური, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით. მისი ძირითადი პროდუქტი ნაშალია, რომლის შემუშავებას, შესწავლას, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს, რეალიზაციას და მომხმარებლისთვის კვალიფიციური დახმარების აღმოჩენას ძირითადად ახორციელებს ამ დარგის სპეციალისტი – ფარმაცევტი.

ფარმაციის ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია: პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება; სამეცნიერო კვლევაზე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება;

სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა.

ფარმაციის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები:

- ბაკალავრიატი
სწავლების ვადა – 4 წელი, 240 ECTS კრედიტი
- მაგისტრატურა
სწავლების ვადა – 2 წელი, 120 ECTS კრედიტი
- დოქტორანტურა
სწავლების ვადა – 3 წელი, 180 ECTS კრედიტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ფარმაციის ფაკულტეტი ახორციელებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. საბაკალავრო განათლება ფარმაციაში ეფუძნება მრავალპროფილიან სწავლებას. მისი მიზანია სტუდენტებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოშუქება. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში დაცულია ბალანსი საბაზისო, სოციალურ, ფარმაცევტულ და სამედიცინო დისციპლინებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებას, ანუ სათანადო ფარმაცევტულ პრაქტიკას. სასწავლო გეგმაში ასახულია ე.წ. თავისუფალი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს პრაქტიკულ კურსებს (ლაბორატორიული მეცადინეობები, სავლე, სანარმოო, სასწავლო პრაქტიკები და ა.შ.).

ფარმაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურიკულუმი შედგენილია მონივრულად შედგენილია მოწინავე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინებით:

სწავლების პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი აბარებს ინტეგრირებულ გამოცდას პროფილურ დისციპლინებში და ენიჭება ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მას შეუძლია იმუშაოს პრაქტიკულ ფარმაციაში ან სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ურთიერთთანამშრომლობის მეორენაწილის ფარგლებში ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტები გადიან სასწავლო და სანარმოო პრაქტიკას ფარმაცევტულ სანარმოებში, აფთიაქებში, წამლის ხარისხის უზრუნველყოფის



და სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ლაბორატორიებში. ფაკულტეტზე მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია.

ფარმაციის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან:

- ლიეჟის უნივერსიტეტი, ბელგია;
- კვებეკის შიკუტიმის უნივერსიტეტი, კანადა;
- მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
- ტულუზის პოლ საბატეის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
- ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია;
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლონეთი

ფაკულტეტზე მოქმედებს ხუთი სამაგისტრო პრო-

გრამა: „მედიკამენტების და ბიოაქტიურ ნაერთთა ქიმია“ განხორციელება.

სამრეწველო ფარმაცია

სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სათანადო სანარმოო პრაქტიკის წესების დაცვით ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულიდან სამკურნალწამლო საშუალებების ტექნოლოგიის შესწავლა და სამრეწველო ფარმაციისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება. სამრეწველო ფარმაციის მაგისტრი შეძლებს, დამოუკიდებლად აწარმოოს სამკურნალწამლო საშუალებები და მართოს ტექნოლოგიური პროცესები სათანადო სანარმოო პრაქტიკის წესების დაცვით.

ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია

სამაგისტრო პროგრამის მიზანია თავის, სახის, სხეულის მოვლის, დეფექტების მაკორეგირებელი, პროფილაქტიკური, გამაჯანსაღებელი, სამკურნალო საშუალებების და პარფიუმერული პროდუქციის რეცეპტურის, ტექნოლოგიის გამოყენების წესების ათვისება. ფარმაცევტული კოსმეტოლოგიისა და პარფიუმერიის მაგისტრი შეძლებს დამოუკიდებლად აწარმოოს პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქცია, მართოს ტექნოლოგიური პროცესები სათანადო სანარმოო პრაქტიკის წესების დაცვით, გაუწიოს მომხმარებელს პროფესიული დახმარება, კანის ფიზიოლოგიის გათვალისწინებით, პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის შერჩევასა და გამოყენებაში.

ფარმაცევტული ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სათანადო კვალიფიკაციის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ პროფესიული ცოდნა ფარმაცევტულ ანალიზში. შეძლებენ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელებას, წამლის სტანდარტიზაციის და ხარისხის კონტროლის ორგანიზებას ფარმაცევტულ სანარმოებსა და სახელმწიფოში.

ფარმაციის მენეჯმენტი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ფარმაციის მენეჯმენტში. რომელთაც ექნებათ ცოდნა მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, ფარმაკოეკონომიკის შესახებ, რომლებიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაციის (FIP) რეკომენდაციების შესაბამისად, შეძლებენ განხორციელონ ეროვნული პოლიტიკა ფარმაცევტულ საქმიანობაში.

კლინიკური ფარმაცია

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება ჩაერთოს რაციონალური ფარმაკოთერაპიის პროცესში, სამკურნალო საშუალებების ფორმის, დოზის, დადებითი, უარყოფითი და გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით, ექიმებსა და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებს მიწოდოს უახლესი და ამომწურავი ინფორმაცია სამკურნალო საშუალებების ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის შესახებ, ასევე მონაწილეობა მიიღოს კლინიკური კვლევების განხორციელებაში.



გრამა: „სამრეწველო ფარმაცია“, „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“, „ფარმაცევტული ანალიზი“, „ფარმაციის მენეჯმენტი“, „კლინიკური ფარმაცია“. იგეგ-



ფარმაციის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა			
საგამოცდო საბანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საბნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	2	
ზოგადი უნარები	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	2	
ბიოლოგია	35%+1	5	80
ქიმია	35%+1	5	80
ფიზიკა	35%+1	5	10
მათემატიკა	35%+1	5	10

მისაღები კონტინგენტი – 180

ჯანდაცვის ეროვნულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შექმნის, სურსათის უვნებლობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებს, რაც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ისეთ ღონისძიებებს გულისხმობს, როგორცაა გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლი და გარემოს ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ინტერვენციები, რომლის მთავარი მიზანი არა მხოლოდ პრევენციული და სამკურნალო სერვისებით უზრუნველყოფაა, არამედ ჯანდაცვის სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხის და თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტირებაც.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი ახორციელებს ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოქმედებს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა — ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. ფაკულტეტის დეპარტამენტები ჩართული არიან სპეციალისტთა გადამზადების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის აქტუალურ პრობლემებზე ორიენტირებული სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი



ლობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად, მომზადდეს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის სფეროში მუშაობის, შემდგომი პროფესიული ზრდისა და აკადემიური განათლების გაგრძელების შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდურობას, კომპეტენციის ფარგლებში მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და მზაობას დიპლომის შემდგომი განათლების გაგრძელებისათვის. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ფრანგულ მხარესთან - მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან (UniMan) თანამშრომლობით. პროგრამა, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებთან ერთად, აქცენტირებულია შემდეგ საკითხებზე:

- ❖ ჯანდაცვის მენეჯმენტი, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგი და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება;
 - ❖ ადმინისტრაციული, მენეჯერული, კომერციული საქმიანობის ორგანიზება და შეფასება;
 - ❖ მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზება და მართვა;
 - ❖ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სამედიცინო დანებსებულების მუშაობის დაგეგმვა და მონიტორინგი;
 - ❖ მართვის თანამედროვე პრინციპები ჰოსპიტალურ სექტორში.
- ჯანდაცვის მართვის საკითხებთან დაკავშირებული დისციპლინებისა და ფრანგული ენის სასწავლო კურსის სწავლებაში მონაწილეობენ საფრანგეთის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია „უნიმენის“ პროფესორები. სწავლების ენა ქართულია. ამასთან, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფრანგული ენის ინტენსიური სწავლება. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ორი დიპლომი, აღიარებული როგორც საქართველოს, ასევე, საფრანგეთის მიერ. კურსდამთავრებულს ექნება ცოდნის რეალიზების შესაძლებლობა საქართველოში, საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებში, რაც იძლევა მიღებული ცოდნის გამოყენებისა და დასაქმების, ასევე ევროპული განათლების

შესაძლებლობას. პროგრამის მოცულობა 280 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც აძლევს უფლებას განათლება განაგრძოს უნივერსიტეტში მოქმედ პროფილურ სამაგისტრო პროგრამებზე:

- ❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- ❖ ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა;
- ❖ ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება;
- ❖ ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი;
- ❖ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და „UniMan“ (საფრანგეთი) ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა ქართულ და ინგლისურ ენებზე).

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამის მიმართულებაში.

მაგისტრს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში; მისი წარმატებით დასრულების და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, პროფილური პრაქტიკული საქმიანობის გარდა, შესაძლებელია აკადემიურ და კვლევით აქტივობაში ჩართვა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის კვებისა და ასაკობრივი მედიცინის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის, გარემოს მედიცინის, პროფესიული მედიცინის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით. მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგები აისახა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომელიც ტარდება დევიზით – „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“.

ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათ მიერაა ორგანიზებული უკვე ტრადიციად ქვეყნის სტუდენტური კონფერენცია, რომელიც 2010 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ბაკურიანში. სტუდენტების აქტიური მონაწილეობით უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნება „პილდისის ევროპის დღე“, „ადიპეტის მსოფლიო დღე“, „ჯანმრთელობის მსოფლიო დღე“, „სტუბერ-კულოზის მსოფლიო დღე“, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მსოფლიო დღე“, „მოდისის მსოფლიო დღე“ და სხვა.

ფაკულტეტს აქვს საერთაშორისო კონტაქტები საფრანგეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ისრაელის, უნგრეთის, ამერიკის, ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებთან. ხორციელდება სტუდენტებისა და პედაგოგების სტაჟირება ევროპის, ამერიკისა და კანადის უნივერსიტეტებში.



საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკრედიტებულია ორი საბაკალავრო პროგრამა: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“. საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, თსსუ-ის დეკლარირებული მისიისა და ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთე-



საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი

- ☞ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამა
- ☞ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო - საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული და ფრანგული დიპლომებით)

მისაღები კონტინგენტი – 110

მისაღები კონტინგენტი – 40

საბამოცდო სახანი	მინიმალური კოეფიციენტის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი სახანის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	2	
ზოგადი უნარები	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	2	
ბიოლოგია	35%+1	5	65/20
ფიზიკა	35%+1	5	30/14
ფიზიკა	35%+1	5	5/3
მათემატიკა	35%+1	5	10/3

ფიზიკური მდინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი



თანამედროვე მედიცინის წარმატება შეუძლებელია სრულყოფილი სამედიცინო რეაბილიტაციის სამსახურის გარეშე, ვინაიდან კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდება ითვალისწინებს არამხოლოდ დაავადების მკურნალობას, არამედ პაციენტის ფუნქციური მდგომარეობის ოპტიმალურ ფარგლებში აღდგენას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ფიზიკური რეაბილიტაციის მთავარი ამოცანაა.

რეაბილიტაცია არის უწყვეტი და კოორდინირებული პროცესი, რომელიც იწყება დაავადების ან დაზიანების დაწყებისთანავე და გრძელდება პაციენტის საზოგადოებაში სრულ რეინტეგრაციამდე.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დღითიდღე იზრდება ინტერესი თანამედროვე სამედიცინო სარეაბილიტაციო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ, შესაბამისად, გაზრდილია მოთხოვნილება თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილ სპეციალისტებზე ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მთავარი ამოცანაა მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ქრონიკული დაავადებების, ტრავმის ან სხვა კლინიკური პრობლემის შედეგად განვითარებული უნარ-შეზღუდულობის მქონე ადამიანების სამედიცინო დახმარებას.

ფაკულტეტზე მოქმედებს ევროპული სტანდარტების, თანამედროვე საბაკალავრო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წელია. სტუდენტები მომავალ პროფესიას ეუფლებიან უნივერსიტეტის სხვადასხვა თეორიულ თუ კლინიკურ დეპარტამენტებში, საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებსა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ისინი სწავლობენ რეაბილიტაციის პრინციპებს და პროგრამებს, რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას, თანამედროვე სარეაბილიტაციო მეთოდებს და ტექნოლოგიებს, მათ გამოყენებას საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, რესპირატორული და სხვა სისტემების დაზიანებებისა და დაავადებების დროს.

პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში და ეძლევა პროფესიული საქმიანობის საშუალება. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრის მოქმედების არეალი ფართოა და ვრცელდება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებზე და მიმართულებებზე. ეს შეიძლება იყოს ინტენსიური თერაპიის ბლოკი, საავადმყოფოს რეაბილიტაციის განყოფილება, ცენტრული რეაბილიტაციის ცენტრი, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სამსახური.

დიპლომის შემდგომი განათლების ორწლიანი ეტაპი ემსახურება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადებას რეაბილიტაციის კონკრეტულ მიმართულებებში, რაც გულისხმობს გაფართოებულ კლინიკურ კომპეტენციებს და სამედიცინო კვლევის განხორციელების უნარ-ჩვევების შექმნას. ფაკულტეტზე მოქმედებს სამი სამაგისტრო პროგრამა: „მედიცინული რეაბილიტაცია“, „რეაბილიტაციაში მრჩეველი“ და „რეაბილიტაცია სპორტში“. ამასთანავე, იგეგმება ახალი, მეტად აქტუალური პროფესიის სამაგისტრო პროგრამების შემუშავება.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებულად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებსა და პროფესიულ ტრენინგებში, მათ შორის, მეტად აქტუალურია ნეირორეაბილიტაციის, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიების ფიზიკური რეაბილიტაციის და მალალტექნოლოგიური დამხმარე საშუალებების თანამედროვე პროგრამები.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან მაღალი ხარისხის პროფესიული კომპეტენტურობით და მრავლად არიან დასაქმებული საქართველოს წამყვანი კლინიკების სამედიცინო რეაბილიტაციის განყოფილებებსა და კერძო სარეაბილიტაციო ცენტრებში, მოღვაწეობენ სპორტული კლუბებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობების ნაკრები გუნდების სამედიცინო სამსახურებში. კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს დასაქმების 80%-იანი მაჩვენებელი.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტს მჭიდრო კავშირი აქვს აშშ-ის უნივერსიტეტებთან. ჩვენს ფაკულტეტზე სისტემატურ ხასიათს ატარებს ამერიკელი პროფესორების ვიზიტები და ლექცია-სემინარები, ისევე, როგორც ერთობლივი ტელევიდეო და კონფერენციები. ამასთანავე, ამერიკელი პროფესორები მონაწილეობენ აქტიურად ჩართულობაში უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის აკადემიურ პროცესში.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სტუდენტები ჩართულნი არიან სტუდენტურ სამეცნიერო პროექტებში, უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან და სტუდენტურ სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად რეგულარულად აწყობენ მრავალფეროვან სასწავლო, სამეცნიერო, კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებს.



ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 90

საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	3	
ზოგადი უნარები	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	3	
ბიოლოგია	35%+1	3	68
ქიმია	35%+1	3	15
ფიზიკა	35%+1	3	2
მათემატიკა	35%+1	3	5

ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპმა და ტენდენციებმა რადიკალურად შეცვალა ექთნის როლის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ტრადიციული ხედვა. საქეთნო განათლების წინაშე სრულიად განსხვავებული მოთხოვნები დადგა. სამედიცინო პრობლემების მზარდი კომპლექსურობის პირობებში წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი გახდა მომავალი ექთნის აღჭურვა ცოდნის იმ მოცულობით, რომელიც ცდება საქართველოში არსებულ საქეთნო განათლების ტრადიციულ საზღვრებს.

2011-2012 სასწავლო წლიდან პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების კვალდაკვალ ამოქმედდა საქეთნო საქმის (ექთანი / ბეზიაქალი) საბაკალავრო პროგრამები, რომელთა მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა – 4 აკადემიურ წელს. ბეზიაქალის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ (პროგრამა MARTA) ინიცირებული პროექტის – „საქართველოში ბეზიაქალთა ცოდნის და

საქეთნო საბაკალავრო (ექთანი/ბეზიაქალი) პროგრამები



უნარების გაუმჯობესება“ – ფარგლებში. პროექტის განხორციელებაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ETC Foundation-მა (ნიდერლანდები), HERA-XXI-მა (საქართველო), ბეზიაქალთა საერთაშორისო კონფედერაციამ (ICM, Hague) და როტერდამის ბეზიაქალთა უნივერსიტეტმა - Rotterdam University of Midwifery (RUM/VAR).

2015-2016 სასწავლო წლიდან T.G და-სავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა (ინსბრუკი, ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება მიღება საქეთნო საქმის (ექთანი)ქართულ-ავსტრიულ საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც უნიკალურ შანსს აძლევს სტუდენტებს, სტაჟირება გაიარონ ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

საქეთნო-საბაკალავრო (ექთანი/ბეზიაქალი) პროგრამების კურსდამთავრებულთა მაღალ კომპეტენციასა და კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლში დასაქმების ძალიან მაღალი მაჩვენებელი.

საქეთნო საქმის ბაკალავრის პროგრამები:

საქეთნო საქმის ბაკალავრი - ქართულ-ავსტრიული

საგანმანათლებლო პროგრამა

საქეთნო საქმის ბაკალავრი - ბეზიაქალის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 30

მისაღები კონტინგენტი – 10

საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	25%	3	
ზოგადი უნარები	30%	3	
უცხოური ენა	25%	3	
ბიოლოგია	25%	3	24/6
ქიმია	25%	3	3/1
ფიზიკა	25%	3	1/1
მათემატიკა	25%	3	2/2

2018 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი ფაკულტეტი – მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი. 2008 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტით და, კერძოდ, უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებით დიდი დაინტერესების გამო, რასაც სწავლის მაღალი სტანდარტი განაპირობებდა, შეიქმნა მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა და ჩამოყალიბდა უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტი. იმ პერიოდში თსსუ-ის უცხოურენოვან პროგრამებზე სწავლობდა 13 ქვეყნის 200-მდე სტუდენტი.

უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის მთავარი მისია იყო საერთაშორისო სამედიცინო განათლების მაღალი დონის ჩამოყალიბება, სამედიცინო საგანმანათლებლო სფეროში მონივრულ პოზიციების გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო სტუდენტებისთვის მასწავლებლად მუშაობის გარეშე შექმნა და სასწავლო პროცესის მაღალი პროფესიონალიზმის ჩართულობით წარმართვა უპირობო ვალდებულება გახლდათ. უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტში თითოეული სტუდენტი ამომწურავად იღებდა ყველა საჭირო ინფორმაციას სწავლის პროცესთან დაკავშირებით.

მაქსიმალური ზრუნვა სწავლების მაღალ ხარისხზე, ცხადია, უკვალოდ არ ქრება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება საერთაშორისო აბიტურენტებისთვის, რისი დასტურიცაა მედიცინის ინგლისურენოვან და რუსულენოვან პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობის მკვეთრი მატება.

2018 წლიდან, პირველად საქართველოს მასშტაბით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი. დღესდღეობით ამ ფაკულტეტზე სწავლობს 2300-მდე დიპლომანდიანი განათლების უცხოურენოვანი სტუდენტი მსოფლიოს 61 ქვეყნიდან. აქ ყველაფერი კეთდება, რომ მათ სწორად განსაზღვრონ პროფესიონალიზმი, გახდნენ გლობალური კომპეტენციის



მქონე კურსდამთავრებულები, რათა სათანადოდ უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს. მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის მიზანი, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; სასწავლო და სამედიცინო-კვლევითი მიმართულებების, პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და განხორციელება;
- ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სამედიცინო კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისებითა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამოუმუშავებით;
- ფუნდამენტური, პრეკლინიკური და კლინიკური დეპარტამენტების სასწავლო, სამედიცინო-კვლევითი და პრაქტიკული (კლინიკური, ლაბორატორიული და სხვ.) მუშაობის

კოორდინაცია;

- ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დეგრეების სისტემის (ECTS) შესაბამისი შინაარსის, ორიენტაციისა და სტრუქტურის პროგრამებისა და კურსკულუმების შემუშავება, დანერგვა და განვითარება;
- საერთაშორისო სასწავლო და სამედიცინო-კვლევით ცენტრებთან კოოპერაცია და ერთობლივი სამედიცინო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
- სასწავლო და სამედიცინო-კვლევითი მუშაობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- სახელმძღვანელოების, მეთოდური რეკომენდაციებისა და გაილაინების შექმნის ხელშეწყობა, დამტკიცება და განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

სამედიცინო მუშაობის კოორდინაციის, მარტივი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული სამედიცინო მუშაობის კოორდინაციაზე, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საქმიანობაზე. სამსახური, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლასა და სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან.

სამედიცინო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური პასუხისმგებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული სამედიცინო მუშაობის კოორდინაციაზე, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საქმიანობაზე. სამსახური, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლასა და სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან.

გამოცხადების, მისაღები გამოცდების ჩატარებისა და დოქტორანტურის თუ მაგისტრატურის ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებას, პერმანენტულ კონტროლს აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე, სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და დოქტორანტების მიერ სასწავლო კომპონენტის გავლის ორგანიზებას, სადოქტორო დისერტაციების დაცვისთვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებასა და დოქტორანტების საბჭოებში წარსადგენად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად, უცხოეთში დაცული სადისერტაციო ნაშრომების შეფასებას კვლევის შედეგების სამედიცინო, აკადემიური, პრაქტიკული და მეთოდური ღირებულების თვალსაზრისით.

სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას თსსუ-ში განხორციელებული სამედიცინო კვლევების, სხვადასხვა მიმართულების თუ დეპარტამენტის მიერ მიღებული გრანტების და სხვა სამედიცინო აქტივობების შესახებ, რომლის სისტემატიზების შემდეგ ამზადებს უნივერსიტეტის სამედიცინო საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს. ამ ანგარიშების წარდგენა და მოხსენება ხდება როგორც მედიცინის ეროვნულ აკადემიაში, ისე, სხვადასხვა სამედიცინო ფორუმზე. მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაცია თსსუ-ის სამედიცინო მუშაობის შესახებ ეგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებს.

2018 წელს თსსუ-ში ხორციელდებოდა 106 სადოქტორო კვლევის პროგრამა და დისერტაცია დაცვა 22-მა დოქტორანტმა, რომლებსაც ჯანდაცვის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ. თსსუ-ში მოქმედებს 14 სამაგისტრო პროგრამა. მათგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე – საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი, ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (ქართულ-ინგლისურენოვანი); ფარმაციის ფაკულტეტზე – ფარმაცევტული



კოსმეტოლოგია და პარფიუმერია, ფარმაცევტული ანალიზი, ფარმაციის მენეჯმენტი, სამრეწველო ფარმაცია, კლინიკური ფარმაცია; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე – პედაგოგიური რეაბილიტაცია, რეაბილიტაციაში მრჩეველი, რეაბილიტაცია სპორტში.

დიპლომის შემდგომი სახელმწიფო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი



დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიზანი დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების წარმართვაა. ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას ინსტიტუტში არსებული რეზიდენტურისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს და მართავს.

მზადება/რეზიდენტურა) მიმდინარეობს 56 საექიმო სპეციალობიდან 50 სპეციალობაში განათლების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უნივერსიტეტში აკრედიტებული სახელმწიფო პროგრამებით. საერთო ლიმიტი ამ ეტაპისათვის - 888 ადგილია. ამ საკმაოდ რთულ და მრავალეტაპიან პროცესში არაერთი რგოლია ჩართული: თავად სპეციალობის მაძიებელი/რეზიდენტი, მოდულზე პასუხისმგებელი პირი, სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი, თსსუ საგამოცდო ცენტრი, საუნივერსიტეტო, თსსუ-ის აფილირებული და პარტნიორი კლინიკები - ჯამში 130-ზე მეტი სამედიცინო დაწესებულება და რა თქმა უნდა რეზიდენტურის სამსახური, რომელიც მართავს და კოორდინაციას უწევს პროფესიული მზადების მუდმივად ცვლად და დინამიკურ პროცესს. ამ ეტაპისთვის რეზიდენტურისა და თსსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახური მუშაობენ ახალ პროექტზე - სპეციალობის მაძიებლის/რეზიდენტის ელექტრონული გვერდის შექმნაზე, რომლის დანერგვა 2019 წელს გახორციელდება. აღნიშნული ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების პროცესის გაცილებით ეფექტურად წარმართვას.

უწყვეტი პროფესიული განვითარება – დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების/რეზიდენტურის) მომდევნო ეტაპია და გრძელდება ექიმის მთელი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში, არის რა საექიმო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. მისი მიზანია, თანამედროვე მედიცინის მიღწევებთან და ტექნოლოგიებთან დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისი და თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების გამო სამედიცინო პერსონალი პერმანენტულად საჭიროებს მიღებული სამედიცინო განათლების გალერაგებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწას. სწორედ ამ მიმართულებით ახარმობს მუშაობას უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური, ახორციელებს რა შემდეგი ტიპის პროგრამებს საუნივერსიტეტო, უნივერსიტეტის ელექტრონული და პარტნიორ კლინიკებში:

- უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგი;
- პროფესიული რეაბილიტაცია კლინიკური მოდულით;
- კვალიფიკაციის გრძელვადიანი პროგრამა;

• კლინიკური სტაჟირების კურსი; • გადამზადების პროგრამა; • სუბსპეციალობის პროგრამა; • სპეციალიზაციის პროგრამა. ჯანდაცვის სფეროში არსებული თანამედროვე მოთხოვნებიდან და საკითხთა აქტუალობიდან გამომდინარე, უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური აგრძელებს მუშაობას სტრატეგიული მიმართულებით. გაერო-საერთაშორისო ეროვნული ჯანდაცვის ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ამუშავდა უწყვეტი სამედიცინო განათლების პლატფორმა. ონლაინ პლატფორმა მოქნილი ფორმა ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას პიროვნებამ გამოსცა და საკუთარი თავი, სანამ უშუალოდ სერტიფიკატის მოპოვების პროცესს შეუდგება. ამ ეტაპისთვის აღნიშნული პლატფორმაზე ორი პროგრამა ფუნქციონირებს მეან-გინეკოლოგიისათვის. მზადდება სხვა

საექიმო სპეციალობების წარმომადგენლებისთვისაც შესაბამისი პროგრამები. დღევანდელ დღეს, როდესაც ქვეყანაში ვეცდებით მიმართულია ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხარისხის ამაღლებისკენ, აღნიშნული სასწავლო კურსი მნიშვნელოვანი მიღწევაა ინსტიტუტისთვის. ინსტიტუტის მიღწევა დიპლომის შემდგომი სწავლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების წარმართვა, მათი ხელმისაწვდომობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისში, საჩხერეში, ბათუმში, თელავში, ხონსა და გორში. მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული მზადების არეალის გაფართოებაზე. დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) და შემდგომ - უწყვეტი პროფესიული განვითარება ექიმის მთელი პროფესიული საქმიანობის მანძილზე გრძელდება. ინსტიტუტი კი უზრუნველყოფს სამედიცინო სწავლების ამ ორი ეტაპის ფუნქციონირებას ერთ საგანმანათლებლო სივრცეში - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

კლინიკებთან ურთიერთობის სასახური



კლინიკებთან ურთიერთობის სასახურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სტუდენტთა და რეზიდენტთა თანამედროვე სტანდარტებით პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობაა. ამ მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და კლინიკებს შორის ფორმდება ხელშეკრულება და მემორანდუმი, რაც უზრუნველყოფს აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას, რომელთა მიზანია, მხარედა ერთობლივი საქმიანობით შეიქმნას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მქონე, კვალიფიციური ექიმებითა და პედაგოგებით დაკომპლექტებული სამედიცინო-საგანმანათლებლო დაწესებულების კლინიკური ბაზა, სადაც ხორციელდება კლინიკური დისციპლინების დამოამბმადლი და დიპლომისშემდგომი სწავლება, უწყვეტი პროფესიული განვითარება, სამედიცინო კვლევები, ექიმებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვე-

ვების ათვისება და ყველა სხვა ამოცანა, რაც გათვალისწინებულია საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებთან ურთიერთობის სასახური მჭიდროდ თანამშრომლობს სამედიცინო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და კვლავაც განაგრძობს ხელშეკრულებების და მემორანდუმების გაფორმებას სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან.

ამ დარისათვის ხელშეკრულება და მემორანდუმი გაფორმებულია 179 სამედიცინო და კვლევით დაწესებულებასთან, მათ შორისაა 16 სტრუქტურული ერთეული კლინიკა, მისუ-ის აკადემიური საბჭოს განაწესებულებით 36 კლინიკის მიწვევა აფილირებული კლინიკის სტატუსით.

2018 წელს ხელშეკრულება და მემორანდუმი გაფორმდა 30 კლინიკასთან, მათ შორის, 3 სტრუქტურული ერთეული კლინიკასთან.

კლინიკებთან გაფორმებული ურთიერთმშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს მათ ბაზაზე განათავსოს კლინიკური დებარტამენტები და მიმართულებები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სასახურის ერთ-ერთი მიმართულება აკადემიური პერსონალის კლინიკური საქმიანობის ხარისხის ამაღლება და დეპარტამენტების მიერ პროცესის თანამედროვე დონეზე განხორციელების ხელშეწყობაცაა, რომლის გარეშეც ვერ მომზადდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო კადრი.

სტაჟირება სტუდენტებისთვის

2010 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ტრადიციულად ხორციელდება სტუდენტთა ზაფხულის და ზამთრის სკოლა-სტაჟირების ნებაყოფილობითი პროგრამა.

კლინიკებთან ურთიერთობის და სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სასახურებმა გამოიკვლიეს სტუდენტთა მოსაზრებები და მათი მოლოდინი პრაქტიკული სტაჟირების თვალსაზრისით, რაც საფუძვლად დაედო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ჩვენი ქვეყნის, პრაქტიკულად, ყველა რეგიონის სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებულ მემორანდუმს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებთან (თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, აპ. ურუშაძის სახელობის სტრუქტურული კლინიკა, პირველი სტრუქტურული კლინიკა) ერთად, პროექტი მონაწილეობენ: აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკა, „დავით მეტრეველის სამედიცინო ცენტრი“, „გაგაუას კლინიკა“, „იმედის კლინიკა“, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, „დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი“, „კუ-

ზანოვის კლინიკა“, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა და სხვ.

2018 წლის ზამთრის სკოლა-სტაჟირებაში მონაწილეობას იღებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის VI-XII სემესტრის 96 სტუდენტი, ხოლო ზაფხულის სკოლა-სტაჟირება გაიარა 104-მა სტუდენტმა, აქედან 41-მა – ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტმა.

ზაფხულის და ზამთრის სკოლა-სტაჟირების ძირითადი მიზანია: სტუდენტების მიერ თეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინების შესწავლისა მიღებული ცოდნის გამყარება, სწავლის პროცესში შექმნილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება და სრულყოფა, კლინიკაში სამკურნალო პროცესის, ექიმის მუშაობის პირობების, ჯანდაცვის ორგანიზების და ეპიდსაინფორმაციო მუშაობის პირობების გაცნობა, სხვადასხვა დაავადების პრევენციის უნარ-ჩვევების გამყარება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები კლინიკებში მუშაობისას იღრმავებენ კლინიკური დისციპლინების შესწავლით მიღებულ სადიფენსიურ უნარ-ჩვევებს, ეცნობიან ავადმყოფის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდებს, პრაქტიკულად აკვირდებიან კლინიკური აზროვნებისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპების რეალიზებას, ეცნობიან ჯანდაცვის მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს, სამედიცინო დოკუმენტაციის ნარმოებს.

სტუდენტთა და პირდაპირი ურთიერთობის სასახური



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სასახური რექტორის აპარატში შემავალი თსსუ-ის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კონკრეტულ ინიციატივებს თსსუ-ის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის და თანამშრომლობს კერძო თუ სახელმწიფო სექტორთან.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სასახურის ძირითადი ამოცანებია:

- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო და ადგილობრივი სტაჟირების პროგრამების, კონფერენციების, ლექცია-სემინარების, ტრენინგების ორგანიზება;
- სტუდენტებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების განვითარება;
- პროფესიულ ასოციაციებსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;
- სტუდენტური სერვისების განვითარება და სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის სოციალურ და დაუცველი, იძულებით გადაადგილებული, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და უცხოელი სტუდენტების ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სივრცეში;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ურ-

თიერთობა სახელმწიფო და კერძო სექტორთან და, აგრეთვე, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან – შესაბამისი პროექტების ორგანიზების მიზნით.

აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე, სასახური ყოველწლიურად ახორციელებს ზამთრისა და ზაფხულის სკოლა-სტაჟირების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათთვის სასურველ კლინიკას და დეპარტამენტში (კლინიკურ დისციპლინაში) გაიარონ პრაქტიკული სწავლება. სტაჟირების პროგრამაში ყოველწლიურად 220-დან 350-მდე (მე-5, მე-11 სემესტრის) სტუდენტი მონაწილეობს. გარდა ამისა, თსსუ თანამშრომლობს 130-ზე მეტ სამედიცინო დაწესებულებასთან სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების კუთხით. ჯამში პროგრამების ერთობლიობით, ყოველწლიურად, 550-მდე სტუდენტი გადის მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირების პროგრამებს, ხოლო სასახურის ხელშეწყობით დასაქმებულია რიცხვი წელიწადში 120-დან 140-მდე სტუდენტსა და კურსდამთავრებულს შეადგენს. აგრეთვე, მიმდინარეობს დასაქმების მსურველ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზის ფორმირება და კადრების შეთავაზება კერძო კომპანიებისა და კლინიკებისთვის.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სასახური ახორციელებს „პროფესიული ორიენტაციის პროგრამას“, რომელიც გულისხმობს მედიცინის, სტრუქტურული, ჯანდაცვის, ფარმაციის და რეაბილიტაციის ყველა დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ ლექციების ციკლის ორგანიზებას. პროექტის მიზანია დავებში მონაწილეობის სასურველი პროფესიის (დისციპლინის) არჩევაში.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სასახური აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტურ თვითმმართველობასთან და თსსუ-ში მოქმედ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სტუდენტურ ორგანიზაციებთან:

- ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია-თბილისი (EMSA);
- ევროპის სტრუქტურული სტუდენტთა ასოციაცია (EDSA);
- ევროპის ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაცია (EPSA);
- სტუდენტთა სამედიცინო საზოგადოება;
- მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია (IFMSA);

უცხოური ენების ცენტრი

თანამედროვე სამყაროში ცხოვრება, კომუნიკაცია და წარმატებული პროფესიული საქმიანობა წარმოუდგენელია უცხოური ენების ცოდნის გარეშე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბოლონის პროცესის მონაწილე ევროპულ უნივერსიტეტთა დიდი ოჯახის წევრია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის ძირითადი ამოცანაა, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში, ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სამედიცინო უცხოური ენისა და ტერმინოლოგიის (ლათინური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული), ტრადიციული და ზოგადი გაგებით, ასევე, დარგობრივ სამედიცინო ენასა და ტერმინოლოგიას. მსმენელთა ჯგუფები მცირე ჯგუფების მიხედვით.

ცენტრთან მოქმედებს უცხოური ენების ინტენსიური სწავლების ფასიანი კურსები, სადაც მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან, როგორც უცხოური ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული), ტრადიციული და ზოგადი გაგებით, ასევე, დარგობრივ სამედიცინო ენასა და ტერმინოლოგიას. მსმენელთა ჯგუფები მცირე ჯგუფების მიხედვით.

2018 წლიდან უცხოური ენების ცენტრში მოქმედებს ბერლინის ლიპტინგერგის ინსტიტუტის უცხოური ენების და თსსუ-ის უცხოური ენების ცენტრების ახალი ერთობლივი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს გერმანული ან ინგლისური ენების კურსის ბოლო ორი კვირის გავლას გერმანიის დედაქალაქ ბერლინში. ენის შესწავლის გარდა სტუდენტები გაეცნობიან გერმანულ კულტურას და ლირმესანიწნაობებს.

კურსებზე მიიღებიან, როგორც სტუდენტ-

ები, ისე ექიმები და სხვა დაინტერესებული პირები. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე სასწავლო მასალები; ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე აუდიოვიზუალური, კომპიუტერული ლაბორატორიით, სადაც მეცადინეობები ტარდება უახლესი კომპიუტერული პროგრამებით, როგორც მასწავლებლების ზედამხედველობით, ისე დამოუკიდებლად. კურსის დასასრულს გაიცემა ევროპული ენების სწავლების ერთიანი ჩარჩო-პროგრამის შესაბამისი დონის (A1, A2, B1, B2, C1) სერტიფიკატი.

კურსებზე შესაძლებელია, აგრეთვე, მეორე ან მესამე უცხოური ენის დაუფლება: ცენტრში არსებობს თურქული ენის უფასო კურსები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

ცენტრის თანამშრომლების მიერ გამოიცა სახელმძღვანელოები ინგლისურა (English for Medical Professions) და გერმანულ (Deutsch für Mediziner) ენებში, რომლებიც წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში.

უცხოური ენების ცენტრს 2014 წლის 1 ოქტომბრიდან აქვს UNICert-ის აკრედიტაცია და გასცემს უცხოური ენის დონების დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს აკრედიტირებულ ენებში (გერმანული, ინგლისური), ცოდნის დონის საფუძვლების შესაბამისად. ეს სერტიფიკატი სტუდენტებს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში და პროფესიული სტაჟირება გაიარონ ევროკავშირის ქვეყნებში.

გარდა ამისა, 2019 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრში შესაძლებელი იქნება D S H-ის

(Deutsches Sprachdiplom für den Hochschulzugang) გამოცდის მოსამზადებელი კურსის გავლა და გამოცდის ჩაბარება. ენის დიპლომი შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს უგამოცდოდ გააგრძელონ სწავლა გერმანიის უნივერსიტეტებში და DAAD-ის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით. უნივერსიტეტში გაცემის სუფლენენ ენის გამოცდების ჩაბარებისგან.

ცენტრში მიღებული უცხოური ენების ცოდნა თსსუ-ის სტუდენტებმა პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენეს უნივერსიტეტში აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორ-მედიკოსების ვიზიტის დროს. სტუმრების მიერ ნაკითხული ლექციები, სტუდენტებმა სინქრონულად წარმატებით თარგმნეს და უცხოელი პროფესორების და მსმენელების მოწონება დაიმსახურეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრი ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარებაშიც აქტიურად არის ჩართული. მას განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს გერმანულენოვანი ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან. უცხოური ენების ცენტრში მოპოვებული სერტიფიკატის დახმარებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სტაჟირ-



რება გაიარონ გერმანულენოვანი კლინიკებში ან მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

სტუდენტებს, რეზიდენტებს და ექიმებს, ჩვენს პარტნიორ ბერლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტში (გერმანია) ვთავაზობთ, როგორც ზოგად, ასევე, დარგობრივ სამედიცინო გერმანული ენის საზაფხულო კურსს, სტაჟირებას. გერმანიაში ყოფნის დროს მათ ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა გერმანიის კლინიკაში და გაეცნონ გერმანიის ჯანდაცვის სისტემას. ენის კურსების დამთავრების შემდეგ მონაწილენი მიიღებენ საერთაშორისო ენის დიპლომს გერმანულ ენაში, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს, გააგრძელონ სწავლა გერმანიის უნივერსიტეტებში, ან დაიწყონ პროფესიული საქმიანობა ევროკავშირის ქვეყანებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის კარი ღიაა თქვენთვის – მოემზადეთ წარმატებისთვის!

თბილისის სახელმწიფო საპედიატრო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა



კლინიკური ფუნქციონირებას შიდა მხარეები:

- ❖ მიმღები განყოფილება (EMERGENCY), რაბიოლოგიის კაბინეტი;
- ❖ ამბულატორია;
- ❖ თერაპია, კარდიოლოგია (მ.შ. ინტენსიური კარდიოლოგია);
- ❖ ნევროლოგია;
- ❖ ზოგადი ქირურგია;
- ❖ ნეიროქირურგია;
- ❖ ონკოლოგია (მამოლოგია, ქიმიოთერაპია, კანისა და რბილი ქსოვილების ონკოქირურგია, ონკო-გინეკოლოგია, ონკო-უროლოგია, ონკო-პროქტოლოგია, მუცლის ღრუსა და რეტროპერიტონული სივრცის ონკოქირურგია);
- ❖ ყბა-სახის ქირურგია;
- ❖ უროლოგია;
- ❖ პროქტოლოგია;
- ❖ ოტორინოლარინგოლოგია;
- ❖ ოფთალმოლოგია;
- ❖ ტრავმატოლოგია-ორთოპედია;
- ❖ პედიატრიული ონკოლოგია;
- ❖ სისხლძარღვთა ქირურგია;
- ❖ ანესთეზიოლოგია;
- ❖ რეანიმაცია;
- ❖ რადიოლოგია (რენტგენოლოგია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა.);
- ❖ მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა;
- ❖ ენდოსკოპია;
- ❖ სპორტული მედიცინა და რეაბილიტაცია;
- ❖ ლაბორატორია.

აბაულატორიული მისამართების მომსახურება მოიცავს შიდა მხარეების მომსახურებას:

- ❖ თერაპია;
- ❖ ქირურგია;
- ❖ ნევროლოგია;
- ❖ ნეიროქირურგია;
- ❖ სისხლძარღვთა ქირურგია;
- ❖ ონკოლოგია;
- ❖ ტრავმატოლოგია;
- ❖ გასტროენტეროლოგია;
- ❖ დერმატოლოგია;
- ❖ სტომატოლოგია;
- ❖ რევმატოლოგია;
- ❖ ოფთალმოლოგია;
- ❖ ყბა-სახის ქირურგია;
- ❖ ოტორინოლარინგოლოგია;
- ❖ უროლოგია;
- ❖ პროქტოლოგია;
- ❖ ენდოკრინოლოგია;
- ❖ გინეკოლოგია;
- ❖ მეანობა;
- ❖ ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, აკადემიური და ტექნიკური პერსონალის ძალისხმევით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, 2015 წლის 25 მარტს, დაარსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მალატექნოლოგიური და მრავალპროფილიანი პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომლის მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა სტუდენტთა განათლების დონის ამაღლება, მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და კლინიკური გამოცდილების გაზიარება. თსუ-ის დევიზის – „ტრადიციებით მომავლისკენ“ – ხორცშესხმა სათანადო მალატი სტანდარტის სამედიცინო და საგანმანათლებლო ბაზის გარეშე წარმოუდგენელია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა სამედიცინო მოვალეობის დაწესების ადგილია. „საუნივერსიტეტო“ – ეს მხოლოდ უღერადი ეპითეტი როდია, ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა, რადგან სწორედ აქ ხდება, ერთი მხრივ, მომავალი ექიმების ჩამოყალიბება, ხოლო, მეორე მხრივ – პაციენტების დიაგნოსტიკა და მკურნალობა სარწმუნოების მაღალი დონის გაიძლიანებისა და პროტოკოლების მიხედვით. ეს ის ადგილია, სადაც ბევრი კლინიკისთვის მომავალი, იდეის დონეზე არსებული ოცნება დღევანდელ რეალობას წარმოადგენს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში მზადდება გადის 6 000-ზე მეტი ქართველი, 2 000-მდე საერთაშორისო სტუდენტი და ასობით რეზიდენტი. კლინიკა სრულად არის ადაპტირებული სასწავლო მიზნებისთვის. აქ განთავსებულია 20 კლინიკური დეპარტამენტი/მიმართულება, რომელთა განკარგულებაშია 5 სალექციო აუდიტორია და 70 სასწავლო ოთახი.

თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა ორიენტირებულია საერთაშორისოდ აღიარებული მტკიცებითი მედიცინის სტანდარტებით მომსახურებაზე. ეს არის 160 სანოლზე განსაზღვრული თანამედროვე, მაღალი სტანდარტის სადაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტაციონარი, სადაც მოღვაწეობენ საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული პროფესორები, მედიცინის სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც მომავალი სამედიცინო კადრის აღზრდის პარალელურად, მაღალკვალიფიციურ საექიმო მომსახურებას უწევენ საქართველოს მოსახლეობას. კლინიკაში 700-ზე მეტი თანამშრომელია. აქ მალაქარისხიანი დიპლომატიკა და დიპლომისმემდგომი სამედიცინო განათლების მიღების პარალელურად, სტუდენტები და რეზიდენტები ორგანიზულად არიან ჩართულნი სამედიცინო საქმიანობაში. ასეთი ინტეგრაცია პროფესიული დახელოვნებისკენ მიმავალი საყოველთაოდ აპრობირებული უტყუარი და საიმედო გზაა.

კლინიკაში ყველა პირობა თანამედროვე კლინიკური და აკადემიური საქმიანობის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევების შესრულებისთვის, რაც საუნივერსიტეტო განათლების ორგანული კომპონენტია.



ინვესტიციური პროექტები



თსუ-ის მიერ შიდა მხარის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კლინიკის ახალი კორპუსის პროექტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება, კლინიკური აქტივობა და სამედიცინო მომსახურება მიმდინარეობს ოთხ სასწავლო კორპუსსა და ნაწილობრივ – ადმინისტრაციულ კორპუსში, ასევე – პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, გვი უვანის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, სამ სტომატოლოგიურ კლინიკასა და ორ სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში.

მნიშვნელოვანია, რომ სხვა სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყველა ამ სიკეთის მესაკუთრეა. გზა, რომელიც თსუ-მა გაიარა დღევანდელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამდე, არ იყო მარტივი.

2017 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შეემატა მეთხუთმეტი სასწავლო კორპუსი – ყოფილი ვიკარის უნივერსიტეტის ფართი 2 475 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, სულ სხვა იერ-სახე მიიღო; ამიერიდან, 4200 კვადრატულ მეტრ ფართზე განლაგებულ 8 ათეულამდე აუდიტორიაში, რომელიც აღიჭურვა უახლესი აპარატურით, ამჟამად თავისუფლად და ყოველგვარი პრობლემების გარეშე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. აქ განლაგდა ფარმაცევტული ფაკულტეტის პროფესორული დეპარტამენტები: ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის, სოციალური და კლინიკური ფარმაციის, ფარმაცევტული ტექნოლოგიის, ფარმაცოგნოზის და ბოტანიკის დეპარტამენტები, ასევე, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ფიზიკური მედიცინის, ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის დეპარტამენტები სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკურ ცენტრთან ერთად, აგრეთვე – პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი ლაბორატორიით.

მოეწყო თსუ-ის საგამოცდო ცენტრის და ბიბლიოთეკის ნიგონსაცავის კონდიცირება-ვენტილაციის და გათბობის სისტემა.

2017 წელს მომზადდა თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიის 39886 კვ.მ-ზე განაშენიანების რეგულირების გეგმა; თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ეზოში ერთსართულიანი შენობისთვის დაიშუშადა არქიტექტურული პროექტი, რომელიც გამოყენებული იქნება კლინიკური და სასწავლო აქტივობისთვის; მიმდინარეობს ცხრასართულიანი შენობის და სასადილოს მოწყობის პროექტების გადახედავა; დასრულდა: თსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში ადმინისტრაციული კორპუსის მესამე სართულზე ლაბორატორიების რეაბილიტაცია; ასევე – მესამე სასწავლო კორპუსის მესამე სართულზე თეატრალური დარბაზის სარესტავრაციო სამუშაოები; მწყობრში ჩადა ადმინისტრაციული კორპუსის მე-8 სართული; გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა მე-2 სასწავლო კორპუსს; უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის ჰოლბის ჩატარდა სარემონტო სამუშაოები; დასრულდა პირველი სასწავლო კორპუსის მესამე სართულზე მდებარე დარბაზის ბრტყელი გადახურვის დაზიანებული სახურავის სარემონ-

ტო სამუშაოები; მესამე სასწავლო კორპუსში მოეწყო პანორამული ლიფტი; დასრულდა პირველი სასწავლო კორპუსის მეხუთე სართულის მარცხენა ფლიგელის, სამედიცინო ფარმაცოლოგიის დეპარტამენტის, ადმინისტრაციული კორპუსის საბჭოების დარბაზის ერთი ოთახის და სარდაფის ერთი ოთახის სარემონტო სამუშაოები; განხორციელდა თსუ-ის აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის გაგრძელება-კონდიცირების სისტემის მოწყობის სამუშაოები. ამჟამად გრძელდება: თსუ-ის კლინიკების აღჭურვა მალატექნოლოგიური აპარატურით: თსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში დამონტაჟდა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი, გ-ფუნქციის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში – კომპიუტერული ტომოგრაფი.

2018 წელს სრული რეაბილიტაცია განიცადა მე-3 სასწავლო კორპუსის სარდაფის სართულზე მდებარე ძალისხმობის დარბაზი; გარემონტდა და ახალი ავეჯით აღიჭურვა ადმინისტრაციული კორპუსის მე-3 სართული; ადმინისტრაციულ კორპუსში დამონტაჟდა თანამედროვე მაღალი ტვირთმწოდის პანორამული ლიფტები და გარემონტდა კიბის უჯრედები; მიმდინარეობს პირველი სასწავლო კორპუსის მე-3 სართულზე მდებარე პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის სარემონტო სამუშაოები; ასევე, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მე-8 სართულზე მდებარე რეანიმაციის ბლოკის და პირველ სართულზე – მიმღების სარემონტო სამუშაოები; ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში, ასევე, ყველა სტრუქტურულ ერთეულში შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის დამონტაჟდა პანდუსები და გაკეთდა სპეციალური სანიტარული კვანძები; შეიცვალა თეატრალური დარბაზის კონდიცირება-ვენტილაციის სისტემები, დამონტაჟდა ახალი სცენის განათება და აუდიო სისტემა, შეიცვალა სცენის მოძრაობის ელექტროსისტემა; აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიურ კლინიკაში სრული რეაბილიტაცია ჩატარდა სანიტარულ და საკანალიზაციო სისტემებს. ასევე, ჩატარდა კლინიკის ფასადის მონტაჟის სამუშაოები; მიმდინარეობს ადმინისტრაციული და სასწავლო კორპუსების აღჭურვა სათვალავო კამერებით. შეთანხმებულია პროექტი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში ადმინისტრაციული კორპუსის ვესტიბიულის თავზე მრავალფუნქციური სარეკრაციო სივრცის მშენებლობის დასაწყებად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ მოეწყო რეკრაციული ზონა სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. აქ აღიმართა ცნობილი ექიმის, პროფესორ არსენ გვენეტაძის მიერ უნივერსიტეტისთვის მიღწეული მონუმენტი – „ბედნიერება“, (იდეის ავტორი არსენ გვენეტაძე, მოქანდაკე – ლევან ვარდოსანიძე). მის გასწვრივ კი „ბედნიერების სკვერი“ მოეწყო.

სამომავლოდ იგეგმება არაერთი პროექტის განხორციელება, მათ შორის, გვი უვანის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ახალი კორპუსის მშენებლობა.

თბილისის სახელმწიფო სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

თბილისის სახელმწიფო სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი



კლინიკაში ფუნქციონირებს: სასწრაფო-გადაუდებელი და ამბულატორიული, თერაპიის, ბავშვთა ზოგადი ქირურგიის, ენდოკრინოლოგიის, ნეონატოლოგიის, კრიტიკული მედიცინის, ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევის და ანესთეზიოლოგიის სამსახურები, საოპერაციო ბლოკი და სასტერულიზაციო ზაზა.

ასევე ზემოაღნიშნულ სამსახურებში განთავსებულია შემდეგი მიმართულებები: ბავშვთა სნეულებათა, ბავშვთა ნერვულ სნეულებათა, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის, ენდოკრინოლოგიური, ბავშვთა ქირურგიის, ყბა-სახის ქირურგიის, ოფთალმოლოგიის, ოტორინოლარინგოლოგიის.

ენდოკრინოლოგიის სამსახურში, ასევე, ფუნქციონირებს დიაბეტური სკოლა პაციენტებისა და მათი მშობლებისთვის.

ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევის სამსახური აღჭურვილია დიაგნოსტიკის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური რადიოლოგიური და სხვა აპარატურით (მათ შორის, კომპიუტერული ტომოგრაფიით).

ამბულატორიული სამსახური, ასევე, მოიცავს რაბიოლოგიას, ფიზიოთერაპიასა და ოზონოთერაპიას.

იგეგმება ახალი სერვისების დაწესება - ნეიროქირურგია, ასევე, პალატიური და ინფექციური დაავადებების მქონე პაციენტებისთვის - სამედიცინო სერვისების მიწოდება.

კლინიკა მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებებთან, უცხოელი ექიმი-სპეციალისტები სტუმრობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საქველმოქმედო აქციის ფარგლებში და პაციენტებს უტარებენ კონსულტაციებსა და ქირურგიულ ოპერაციებს.

2018 წლის 22-26 ოქტომბერს, გასული 4 წლის მსგავსად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას, საექიმო საქმიანობის განხორციელების მიზნით, კვლავ ეწვივნენ ჰაიფას საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორები, „რამბაშის სამედიცინო ცენტრის“ წამყვანი სპეციალისტები, პროფესორი იცხაკ ვინოგრადი — თელავის უნივერსიტეტის (ისრაელი) მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, ასევე ცენტრის ბავშვთა

ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; პროფესორი რან შტინენბერგი — ჰაიფას სამედიცინო (რამბაშ) ცენტრი, ბავშვთა ქირურგიის და ტრანსპლანტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; პროფესორი არკადი ვაჩიანი — ჰაიფას სამედიცინო (რამბაშ) ცენტრი, ბავშვთა მინიინვაზიური ქირურგიული სამსახურის უფროსი.

სასწავლო-სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ზემოხსენებულმა პროფესორებმა კლინიკაში ჩაატარეს სემინარები, ქირურგიული დაავადებების მქონე პაციენტებს გაუწიეს კონსულტაციები და გაკეთდა 10-მდე ურთულესი ქირურგიული ოპერაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და „რამბაშის სამედიცინო ცენტრის“ მრავალწლიან თანამშრომლობასა და გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში განხორციელებულ ვიზიტებს, ჩატარებულ ოპერაციებს და თბილ ურთიერთობებს გამოეხმაურა ისრაელის პრესაც (IS-RAEL21c)

ფეიქრობო, ასეთი სახის თანამშრომლობას ექნება უწყვეტი ხასიათი და ვიზიტები გაგრძელდება მომავალშიც.

კლინიკას ყოველწლიურად სტუმრობენ გერმანელი ყბა-სახის ქირურგები, დუის-ბურგის ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკის პროფესორები: ჰელმუტ ზიბერი, ანდრეას ჰამმახერი, ვიქტორ ვაილერტი და კარსტენ კრახსი, რომლებიც ყბა-სახის პათოლოგიების ურთულეს ოპერაციებს ატარებენ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2013 წლიდან დღემდე, ყოველწლიურად, 6 თვის განმავლობაში, DAAD-ის პროგრამის დაფინანსებით, კლინიკაში საექიმო საქმიანობას ეწევა ბონის უნივერსიტეტის პროფესორი, დამსახურებული პედიატრი, გასტროენტეროლოგი, ჰემატოლოგი და ნუტრიციოლოგი მიხაელ იაკობუს ლენტცი, რომელიც ქართველ

კოლეგებთან ერთად კონსულტაციებს უწევს პაციენტებს და არც 2018 წელი ყოფილა გამონაკლისი. მისი ძალისხმევით ფართოდ დაინერგა პედიატრიული და ქირურგიული გასტროენტეროლოგიის დიაგნოსტიკის, მკურნალობის და მართვის თანამედროვე მეთოდები. 2015 წლის 27 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისა და განუვლი ჰუმანიტარული დახმარებისთვის, პროფესორი მიხაელ ლენტცი დაჯილდოვდა ბრწყინვალეობის საპრეზიდენტო ორდენით, ამავდროულად, მას მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საპატიო დოქტორის“ წოდება. 2019 წლის აპრილში კვლავ იგეგმება მიხაელ ლენტცის ვიზიტი თსუ-ის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში.

ასევე, ტრადიციად და ქცეული გავსებითი საქველმოქმედო აქციები, რომლებიც ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ტარდება. აქციების ფარგლებში 2000-მდე ბავშვს გაენია კონსულტაცია და ჩაუტარდა დიაგნოსტიკური გამოკვლევა.

2018 წლის 16 ოქტომბერს, თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას ეწვია ცნობილი ნევროლოგი, გენეტიკოსი, იშვიათი დაავადებების ექსპერტი, პროფესორი არნდტ როლფსი (როსტოკის უნივერსიტეტი, გერმანია),

მან უფასო კონსულტაცია გაუწია ნევროლოგიური და გენეტიკური პრობლემების მქონე პაციენტებს და უსასყიდლოდ განახორციელა მათი გენეტიკური ტესტირება.

პროფესორ როლფსის ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით უახლოეს მომავალში საქართველო ჩაერთვება ბიომარკერების მულტიცენტრულ საერთაშორისო კვლევაში, რომელიც მოიცავს შემდეგ დაავადებებს: კისტური ფიბროზი, დიუმენის კუნთოვანი დისტროფია, ტუბე-

როზული სკლეროზი, ალპორტის სინდრომი, გოშეს დაავადება, მეკვიდრული ანგიოედემა, ალფა მანოზიდოზი, მუკოპოლისაქარიდოზი, მეტაქრომატული ლეიკოდისტროფია.

პროფესორი როლფსი კვლავ ეწევა საქართველოს 2019 წლის მაისში, მე-2 საერთაშორისო კონფერენციის - „ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა: ტრანსლაციური მედიცინა ომიკების ერაში“ - ფარგლებში და კვლავ გაუწევს კონსულტაციას გენეტიკური დაავადებების მქონე პაციენტებს.

2018 წლის 10 ივნისს, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და ორგანიზებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ექიმებმა, უსასყიდლოდ ჩაატარეს პროფილაქტიკური გასინჯვები 18 წლამდე ასაკის პაციენტებში, ხოლო 2018 წლის 20 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიწვევით ჭიათურის ჯეო-პოსპიტალის ამბულატორიულ ცენტრში ბავშვებს უფასო პროფილაქტიკური გასინჯვები და ექს-კოპიური გამოკვლევები ჩაუტარეს. კლინიკის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა. კლინიკის გენერალური დირექტორის, მედიცინის აკადემიური დოქტორის, ასოცირებული პროფესორის, ლია ძიძიგურის, ორგანიზებითა და ინიციატივით, კლინიკის ექიმებთან ერთად, საქველმოქმედო აქციების ფარგლებში, კვლავ იგეგმება მრავალპროფილური სამედიცინო შემოსწავლისა და კონსულტაციების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა 2018 წელსაც შეუერთდა დიაბეტის მსოფლიო დღეს კლინიკისთვის ტრადიციად ქცეული ლონისძიებების აღნიშვნით, რომელსაც ესწრებოდნენ: კლინიკის ექიმები, ენდოკრინოლოგიური დეპარტამენტის პაციენტები და მათი მშობლები, საპატიო სტუმრები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სამედიცინო საქმიანობის პარალელურად, კლინიკაში ხორციელდება საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამები, რაც ნებისმიერი სფეროს განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

კლინიკაში მიმდინარეობს სამეცნიერო კლინიკური კვლევები (ენდოკრინოლოგიის, ნევროლოგიისა და ქირურგიის მიმართულებით), რომლებიც შემდგომშიც გაგრძელდება.



სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სწავლებას ეხმარება სამი თანამედროვე საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა:



- აკოდონ უნივერსიტეტის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა**
(დავით აღმაშენებლის გამზირი № 126, ტ: 2952089)
- თსუ-ის № 1 სტომატოლოგიური კლინიკა**
(რ. უზნაძის ქ. № 2, მსჰპრის მანქანა სანაპირო; ტ: 2953209)
- თსუ-ის № 2 სტომატოლოგიური კლინიკა**
(ფოტხე დავიანის ქ. № 303, ტ: 2662361)

აღნიშნულ კლინიკებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მაღალკვალიფიციური ექიმი-სტომატოლოგების მიერ წარმოებს სრული სპექტრის სტომატოლოგიური მომსახურება

იოვან ქუთათაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი

ქართულ ფარმაცევტულ მეცნიერებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ-ფარმაცევტული განყოფილების დაარსებით, 1919 წლის შემოდგომაზე ჩაეყარა საფუძველი. 1932 წლის 5 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წიაღში ფარმაცოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა. 1937 წლიდან ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი სხვადასხვა უწყების დაქვემდებარებაში იყო. თითქმის რვა ათეული წლის შემდეგ, 2010 წლის 20 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით, იოვან ქუთათაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი კვლავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტშია.

წამალთმცოდნეობას საქართველოში უძველესი ტრადიციები აქვს, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამედიცინო დარგად ჩამოყალიბდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი აგრძელებს ახალ სამკურნალო საშუალებათა შექმნასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ინსტიტუტის არსებობის მანძილზე, მეცნიერ-თანამშრომელთა კვლევების შედეგად, შემუშავებულია 70-ზე მეტი სამკურნალო საშუალება და სასარგებლო მოდელი. ამჟამად ინსტიტუტს გააჩნია 16 ორიგინალური სამკურნალო საშუალებაზე პატენტ-მფლობელობა, შესაბამისად, მეცნიერ-თანამშრომლებს - საავტორო უფლება. არაერთი კონკურენტუნარიანი პრეპარატი დარეგისტრირდა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.

ინსტიტუტი აერთიანებს 5 სამეცნიერო-კვლევით დეპარტამენტს 12 სამეცნიერო მიმართულებით და სანარმოო ექსპერიმენტულ ბაზას. სამეცნიერო საქმიანობას ეწევა 49 მეცნიერ-თანამშრომელი, 7 ლაბორანტი და 1 დოქტორანტი.

ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი სამედიცინო პოტენციალით, კადრებით და ექსპერიმენტულ-სანარმოო ბაზით უმაღლესი კატეგორიის სამეცნიერო, კვლევითი, საკონსულტაციო, სასწავლო და პრაქტიკულ დაწესებულებად ითვლება, როგორც საქართველოს, ასევე, უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის მეცნიერებისა და დოქტორანტებისთვის, მაგისტრანტებისა და სტუდენტებისთვის. ინსტიტუტი წარმატებულ სამეცნიერო თანამშრომლობას ეწევა უცხოეთის არაერთ წამყვან უნივერსიტეტთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან: მარსელი (საფრანგეთი), კვებეკი (კანადა), ლიეჟი (ბელგია), სალერნო (იტალია), აიენი (საბერძნეთი), არიელი (ისრაელი), აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტი, სომხეთის სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრი და სხვ.

გამოცემულია რამდენიმე ათეული მონოგრაფია, შრომათა კრებულები, ათასობით სტატია რეფერირებად და მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში.

თსუ-ის იოვან ქუთათაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მისი ხელმძღვანელობით ტარდება არაერთი საერთაშორისო კონფერენცია.

ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი აღიარებულია, როგორც მონაწილე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, განათლების და მეცნიერების სამინისტროს სის-



ტემში, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. წარმატებასა და აღიარებას მოწმობს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო სერტიფიკატი, თსუ-ის ი. ქუთათაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის "International Quality Crown Award" (IQCA) პრიზი და სერტიფიკატი. დაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდა 2015 წლის 21-23 ნოემბერს ლონდონში (დიდი ბრიტანეთი). თსუ-ის ი. ქუთათაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის დაჯილდოების საფუძველს წარმოადგენდა ორგანიზაცია Business Initiative Directions (BID) - ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმადაც, ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი ლიდერია მართვის ხარისხსა და უნიკალურობის სფეროში.

ინსტიტუტი აერთიანებს არა მარტო სამეცნიერო-კვლევით სა-



ქმიანობას, ასევე, ყოველწლიურად წარმატებით ზრდის ექსპორტის მოცულობას არსებული ექსპერიმენტულ-სანარმოო ბაზის საშუალებით. ექსპერიმენტულ-სანარმოო ბაზაში ხორციელდება ინსტიტუტის მიერ შექმნილი სამკურნალო საშუალებების, სუბსტანციების, მზა წამლის ფორმების შემუშავება, აღნარმობა, მსხვილ-ლაბორატორიული და საცდელ-სანარმოო რეგლამენტის შედგენა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღება ქიმიური და ფარმაცოლოგიური კვლევებისთვის, აგრეთვე, კლინიკური აპრობაციისთვის.

წარმატებით დამთავრდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია თსუ-ის და განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებით, ინსტიტუტის ტერიტორიაზე შეიქმნა სტუდენტთა სრულად აღჭურვილი სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. შეძენილია, აგრეთვე: ანალიზური მალაქეფექტური სითხეოვანი ქრომატოგრაფი DAD, MS დეტექტორით,

მაღალი ეფექტურობის სითხეოვანი ქრომატოგრაფი პრეპარაციული სვეტით; გაზური ქრომატოგრაფი ალიან იონიზაციური სვეტითა და მასს სპექტრული დეტექტორით; ანალიზური მალაქეფექტური სითხეოვანი ქრომატოგრაფი.

ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების განხორციელება თსუ-ის ი. ქუთათაძის სახელობის ინსტიტუტის მისი მნიშვნელოვანი ასპექტია და მიზანდასახავს:

- ❖ ხარისხსა და შედეგებზე ორიენტირებული კვლევების უზრუნველყოფას;
- ❖ სამეცნიერო კვლევების მრავალფეროვნების უზრუნველყოფას;
- ❖ პროფილური კვლევების გაღრმავებას, მომიჯნავე მეცნიერებებთან მის ინტეგრირებას;
- ❖ საგანზე ორიენტირებული და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებას;

❖ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისთვის სათანადო ბაზის შექმნას;

❖ სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის მოტივირებას.

2017 წელს შემუშავდა წამლის ორი ახალი ფორმა, რომელიც მზადაა სერიული წარმოებისთვის. განხორციელდა 2 პრეპარატი: ანტიანტიბიოტიკური საშუალება - ფლარონინის და ათეროსკლეროზის სანაღმამდეგო და ანაბოლიტური საშუალება - ტრიბუსპონინის რებრენდინგი. ეს პრეპარატები მალე შევა ფარმაცევტულ ბაზარზე.

2017 წელს ინსტიტუტმა მოიპოვა 2 პატენტი, 4 სამეცნიერო გრანტი. დაცულია 3 დისერტაცია. მომზადდა 2 სადოქტორო პროგრამა.

ინსტიტუტში წარმატებით მიმდინარეობს თსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის ბაკალავრების და მა-

გისტრების პროფესიული პრაქტიკა და სტაჟირება. ინსტიტუტში შეიქმნა სალექციო და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია მომავალი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის. პირველად საქართველოში, ღვანდომისლ მეცნიერთა პატივსაცემად, მათ მიერ მეცნიერული და პრაქტიკული ფარმაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, თსუ-ის ი. ქუთათაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ეზოში გაიხსნა „ფარმაციის ხეივანი“ და მათი სახელობის „ვარსკვლავები“, ასევე, - აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის სახელობის სამკურნალო მცენარეთა ბაღი „მედეა“.

თსუ-ში ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის რეინტეგრაციის შემდეგ, უნივერსიტეტის მხარში დგომით, შესაძლებელი გახდა საქმიანობის წარმატებით გაგრძელება, არსებული უძრავ-მოძრავი ქონების შენარჩუნება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

პ. ბახუთაშვილის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტი



2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური სივრცის წევრია სამედიცინო ბიოქიმიოლოგიის ინსტიტუტი და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის მთავარი მისიის - „ცოდნისა და კვლევის აკადემიური ხარისხის“ - შესრულებაში.

ბიოქიმიოლოგია და ბიოინფორმაციული მეცნიერებები უკავშირდება სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში მიღწეულ პროგრესს, რაც, ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. ინსტიტუტი ამ მიმართულებით უკვე 25 წელია მუშაობს. ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, აქ ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინო რეზონანსი გამომავალი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით ადამიანის ექსტრაემბრიონული ქსოვილებიდან მიიღეს სავსებით ახალი პრეპარატი - „პლაფერონი“ (1984წ., სსრკ-ის საავტორო მოწმობა). 2004 წელს პრეპარატი დაპატენტდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2009-2010 წლებში სამედიცინო ბიოქიმიოლოგიის ინსტიტუტი, წარმატებული სამეცნიერო მუშაობისთვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დაჯილდოებულია წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დიპლომით მედიცინის დარგში. „პლაფერონი“ და „პლაფერონ-ლბ“-ს ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების შედეგების 500-მდე სტატია გამოქვეყნებულია საქართველოში, ყოფილი სსრკ-ის და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. დაცულია 26 სადოქტორო და 200-მდე საკანდიდატო დისერტაცია.

ამ პრეპარატების შექმნა, სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელზე მისი გამოყენება (მათ შორის, ნაწილ-ტექნოლოგიების გამოყენებით), მოქმედების მექანიზმების ახსნა მოლეკულურ დონეზე, და როგორც შედეგი - ფართო სამედიცინო პრაქტიკაში მისი ეფექტური დაწინაურება, ახალი სამამულო სამკურნალო პრეპარატების შექმნისთვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

სამედიცინო ბიოქიმიოლოგიის ინსტიტუტში ამ ტრადიციებით დღესაც გრძელდება კვლევები. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მოდიფიცირებულია ძველი და შექმნილია ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებები. ინსტიტუტში მიმდინარე კვლევებმა ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამის და გრანტების სახით (შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, უკრაინის TC, შვეიცარიის SCOPES), დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრების

უცხოელ პარტნიორებსა (აშშ, ინგლისი, ისრაელი, იტალია, პოლონეთი, ლიტვა) და ზოგიერთ ფარმაცევტულ კომპანიაში. 2011-2018 წლებში გამოქვეყნებულია 220-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის - მაღალრეიტინგულ და ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით მხოლოდ სამედიცინო ბიოქიმიოლოგიის ინსტიტუტშია შესაძლებელი სხვადასხვა მოდელზე, მათ შორის, ცხოველებზე, ემბრიონებზე, უჯრედულ და ორგანულ კულტურებზე, ჩატარდეს მაღალი დონის სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერიმენტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 30 იანვრის №59 ბრძანებით დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ მიხედვით, თსუ-ის სამედიცინო ბიოქიმიოლოგიის ინსტიტუტში, კომპლექსური პროგრამის ფარგლებში, 2015 წლიდან ხორციელდება 10 ქვეპროგრამა, რომლებიც წარმოადგენილია შემდეგი მთავარი პრიორიტეტებით:

ქრონიკული დაავადებების პრევენცია და მკურნალობა მცენარეული საკვები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით;

ასაკთან ასოცირებული ანთების მარკერების შეფასება ქართულ პოპულაციაში და მათი როლის დადგენა სხვადასხვა დაავადების ადრეული გამოვლენის და მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრისთვის;

ექსპერიმენტული და კლინიკური იმუნური სისტემის რეაბილიტაციის შესწავლა ეკოლოგიური სტრესის და სხვადასხვა ტიპის ინტერვენციული თერაპიის ზემოქმედების დროს;

ბუნებრივი ცეოლიტების, პროტექტორული, ტოქსიკოლოგიური, იმუნომოდულატორული ასპექტების შესწავლა და მათ საფუძველზე სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების შექმნა;

ბრონქული ასთმის მკურნალობის უსაფრთხო ალტერნატიული საშუალებების ძიება; ახალი სამკურნალო-ფორმების შექმნა და დახვეწა.

ინსტიტუტის საქმიანობის პრიორიტეტი იყო და არის ახლგაზრდა კადრების აღზრდა, რის გარეშეც თანამედროვე მეცნიერება ვერ იარსებებს და განვითარდება. თსუ-ის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ბევრი მათგანი ამჟამად მუშაობს უცხოეთის კლინიკებსა და ლაბორატორიებში. მომავალი ხუთი წლის მანძილზე რეალიზებული ქვეპროგრამების საშუალებით მოხდება, მინიმუმ, რვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომის მომზადება.



საერთაშორისო უნივერსიტეტი

ფაკულტეტზე გაიხსნა და აქტიურად ვითარდება საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, რომელიც შემუშავდა გერნობლის (საფრანგეთი) მენეჯმენტისა და ალსრულების აკადემიისთან (UniMan) ერთად. პროგრამის დასრულების შემდგომ გაცივმა ორმაგი დიპლომი – ქართული და ფრანგული, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების და სწავლის გაგრძელების არეალს აფართოებს და მიმზიდველს ხდის. 2015 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და UniMan-ის ძალისხმევით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე შეიქმნა ერთობლივი საერთაშორისო ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა“.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა და განხორციელდა ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) მედიცინის სკოლასთან ერთად.

ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის - AZW და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წელს ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სრულყოფილი ნევრია შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების:

- ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია - EUA
- უნივერსიტეტთა დიდი ქარტია - Magna

Charta Universitatum

- სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაცია - AMEE
- უნივერსიტეტთა პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაცია (IAUP)
- ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია - EMSA
- მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია - IFMSA
- ევრაზიული აბრეშუმის გზის უნივერსიტეტების კონსორციუმი - ESRUC
- უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტების და ფიზიკური განათლებისა და სპორტის ინსტიტუტების საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინოვაციურ-ტექნოლოგიური კონსორციუმი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან:

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია - WHO
 - სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია - WFME
 - უცხოელ სამედიცინო კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისია - ECFMG
 - ოქსფორდის აკადემიური კავშირი (ACADEMIC UNION OXFORD)
 - გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური - DAAD
 - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო - USAID
 - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
 - ქირურგთა, გასტროენტეროლოგთა და ონკოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია - IASGO
 - ამერიკულ-ავსტრიული ფონდი/ლია სამედიცინო ინსტიტუტი - AAF/OMI
 - დაავადებათა კონტროლის ცენტრები (CDC)
 - ჯანდაცვის სკოლების ასოციაცია ევროპის რეგიონში (ASPHER)
- ამჟამად თსუ-ის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა

მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS+, HORIZON).

ზემოაღნიშნული პროგრამებით ყოველწლიურად უნივერსიტეტის 300-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან მოხილვის პროგრამებში განათლების დიპლომადელ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეტანილია WHO-ის და IMED-ის საერთაშორისო დირექტორიუმში. თსუ-ის კურსდამთავრებულებს შესაბამისი სალიცენზიო გამოცდის/სკრინინგ ტესტის ჩაბარების შემდეგ (USMLE, PLAB, YOK და სხვ.) ეძლევათ შესაძლებლობა დასაქმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში.

2012 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამა, რომელიც გულსხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მონაწილეს. ამ პროგრამის ფარგლებში 2012-2018 წლებში სამედიცინო უნივერსიტეტში უცხოელი პროფესორების 400-მდე ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში პროფესორებმა ნაიკითხეს თემატური ლექციები საზაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში, ჩაატარეს კონსულტაციები და საქველმოქმედო ოპერაციები თსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

საინტერესო და დინამიური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიკაციური პროფესორა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა – ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი წარმატების განმსაზღვრელი პირობებია.

პარტნიორი უნივერსიტეტები

ERASMUS+ ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ზონანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- კუიძინის პოვისლანსკი კოლეჯი (პოლონეთი)
- შჩეცინის დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პიზის უნივერსიტეტი (იტალია)
- სასარის უნივერსიტეტი (იტალია)
- პავიის უნივერსიტეტი (იტალია)
- მიდლსექსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კარდიფის მეტროპოლიტანის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- პატრას უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
- არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
- ტულუზის პოლ საბატერის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- პარიზის ვალ-დე-მარის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი (გერმანია)
- პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- დებრეცენის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
- ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი (ლატვია)
- ინსბრუკის უნივერსიტეტი (ავსტრია)
- ჯუმჰურიეტის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ტირგუ-მურეშის მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- სანტიაგო კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- ლიეჟის უნივერსიტეტი (ბელგია)

პროგრამა MEVLANA-ს ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება შემდეგ თურქულ უნივერსიტეტებთან:

- ათათურქის უნივერსიტეტი (ერზურუმი)
- კავკასიის უნივერსიტეტი (ყარსი)
- რევევ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი (რიზე)
- გირესუნის უნივერსიტეტი (გირესუნი)
- მუსტაფა ქემალის უნივერსიტეტი (პათაი)
- ონდოკუზ მაის უნივერსიტეტი (სამსუნი)
- ჩუკუროვას უნივერსიტეტი (ადანა)
- აქსარას უნივერსიტეტი (ადანა)
- მუს ალფარსლანის უნივერსიტეტი (მუს)
- შიფას უნივერსიტეტი (იზმირი)

პარტნიორი უნივერსიტეტები ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე:

- აშშ-ის**
- გრაციის სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ვენის სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW)

- აზერბაიჯანი**
- აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
 - კავკასიის უნივერსიტეტი

- აშშ**
- ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა
 - ოლბანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა
 - სკრენტონის უნივერსიტეტი

- ბელგია**
- ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
 - ლიეჟის უნივერსიტეტი

- ბელგია**
- ბელგია-ბოლონიის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების აკადემია
 - ბელგია-ბოლონიის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
 - გრონოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ვიტეზის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

- ბულგარეთი**
- სოფიის სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ვარნის სამედიცინო უნივერსიტეტი
 - პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი

- გერმანია**
- იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
 - დუსელდორფ-ესენის უნივერსიტეტი
 - კარლსრუეს ნეიროქირურგიული კლინიკა
 - ლუბეკის უნივერსიტეტი/ბორსტელის კვლევითი ცენტრი
 - ოლდენბურგის კარდიოქირურგიული კლინიკა
 - ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი
 - მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი
 - ჰანოვერის სამედიცინო სკოლა
 - მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი
 - ასკლეპიოსის კლინიკების გაერთიანება

- თურქეთი**
- აბანტ იზეთის უნივერსიტეტი
 - ალრი იბრაჰიმ ჩეჩენის უნივერსიტეტი
 - ათათურქის უნივერსიტეტი
 - ეგეოსის უნივერსიტეტი
 - ერზინჯანის უნივერსიტეტი
 - შაჯეჰპეკის უნივერსიტეტი
 - კავკასიის უნივერსიტეტი
 - ონდოკუზ მაის უნივერსიტეტი
 - რევევ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი
 - არდაღანის უნივერსიტეტი
 - ბეიკენტის უნივერსიტეტი
 - ჯანდაცვის მეცნიერებების უნივერსიტეტი

- ინდოეთი**
- კიიტის უნივერსიტეტი

- ისრაელი**
- ნეგევის ბენ გურიონის უნივერსიტეტი
 - არიელის უნივერსიტეტი

- იტალია**
- ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტი
 - რომის უნივერსიტეტი „ტორ ვერგატა“
 - გენუის უნივერსიტეტი
 - სალერნოს უნივერსიტეტი
 - პადუას უნივერსიტეტი

- კანადა**
- კვებეკის უნივერსიტეტი

- ლატვია**
- რიგის სტრადინის უნივერსიტეტი
 - დაუგავილსის სამედიცინო კოლეჯი

- მაროკო**
- კასაბლანკას ჰასან II უნივერსიტეტი

- მოდენა**
- ნიკოლაე ტესტემიტანუს მედიცინისა და ფარმაციის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ნიდერლანდები**
- როტერდამის ბებიაქალთა აკადემია

- ნორვეგია**
- ბერგენის უნივერსიტეტი

- პოლონეთი**
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტი
 - გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი
 - სილეზიის უნივერსიტეტი კატოვიცეში
 - პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი
 - იაგელონიის უნივერსიტეტი

- რუმინეთი**
- ბაბეშ-ბოლოაის უნივერსიტეტი
 - მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი „კაროლ დავილა“
 - ვალაათის დანუბიუსის უნივერსიტეტი
 - სიბიუს ლუჩიან ბლავას უნივერსიტეტი
 - ტირგუ-მურეშის მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი

- სომხეთი**
- ერევანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

- საფრანგეთი**
- მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი
 - გაერთიანებული ერების უნივერსიტეტი
 - პარიზის ვალ-დე-მარის უნივერსიტეტი
 - მენეჯმენტისა და ალსრულების აკადემია - UniMan

- უკრაინა**
- ბოგომოლცის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ტერნოპოლის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ხარკოვის დიპლომის შემდგომი განათლების სამედიცინო აკადემია
 - ზაპოროჟიის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
 - ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი
 - უკრაინის მედიცინის და სტომატოლოგიის აკადემია
 - დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია

- უზბეკეთი**
- სამარყანდის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

- უნგრეთი**
- ზემეღვისის უნივერსიტეტი
 - სეგედის უნივერსიტეტი

- ყაზახეთი**
- ალმათის სამედიცინო განათლების სახელმწიფო ინსტიტუტი
 - დასავლეთ ყაზახეთის მარატ ოსპანოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

- სრი-ლანკა**
- კოლომბოს უნივერსიტეტი

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის დაარსება

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი უახლესი სასწავლო-სამედიცინო ტექნოლოგიებით, თანამედროვე კომპიუტერული და მალტატექნოლოგიური სასწავლო აპარატურით — სამედიცინო სიმულატორებით — აღჭურვილი სასწავლო ცენტრია, რომელიც მომავალი მედიკოსების მიერ კლინიკური უნარების კვალიფიციურად ათვისების მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება.

თსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას ინიციატივით და მხარდაჭერით, კლინიკური უნარების დეპარტამენტი გახსნილია თანამედროვე სამედიცინო სიმულატორებით და მულტამედია — ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო კორპორაციების პროდუქტებით, როგორებიცაა: Gaumard, Nasco Life/Form, Limb and Things, Laerdal, 3B Scientific, Kyoto Kagaky, Anatomage. ისინი ანატომიურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ თვალსაჩინოებთან წარმოების ლიდერები არიან მსოფლიოში.

2012-2013 სასწავლო წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი შევიდა მედი-

ცინის ფაკულტეტის კურსულუმში, ხოლო საერთო სასწავლო კურსის შინაარსი სრულად მოიცავს მედიცინის დარგობრივ საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ კლინიკურ უნარებს — მარტივი პროცედურებიდან მალტატექნოლოგიური სიმულატორების გამოყენებით გადაუდებელი და რეანიმაციული პაციენტების სამედიცინო შემთხვევების სრულ მართვამდე. კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება მიმდინარეობს მესამე-მეოთხე, მეხუთე-მეექვსე და მეათე-მეცამეტე-მეთორმეტე სემესტრებში. აბსოლუტურად განსხვავებული და საინტერესო პროგრამით, სხვადასხვა ეტაპზე სტუდენტთა ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით. სტუდენტები სიმულატორებზე და მანეკენებზე სწავლობენ სხვადასხვა მანიპულაციების და პროცედურების ჩატარებას: კანში, კუნთში, ვენაში ინიექციებს, ბაზისურ სასიცოცხლო აღდგენით და დაფუნდებულ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ახალშობილებსა და მოზრდილებზე, სისხლდენის შეჩერებასა და

ნახვევის დადებას, გული-სა და ფილტვის აუსკულტაციას, ნაკერების დადებას და სამიანი-გინეკოლოგიურ მანიპულაციებს. თსუ-ის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ცენტრის ბაზაზე გაიარონ პრაქტიკული სასწავლო კურსები მეანობასა და გინეკოლოგიაში, რეანიმაციაში, თერაპიასა და ქირურგიაში; კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში გამოცდები OSCE-ის (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) ტიპით მიმდინარეობს, რაც მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სიახლე და პროგრესული ნაბიჯია სამედიცინო განათლების სისტემაში.

2016-2017 სასწავლო წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი განთავსებულია ახალ-გარემონტებულ სივრცეში, რაც სიმულაციური



ცენტრების მონაცემების ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს.

2017 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი სიმულაციური სადგურების ევროპულ დირექტორიაში შესული. კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტს ინტეგრირებული სილაბუსი აქვს მეანობა-გინეკოლოგიის, პედიატრიის და შინაგან დაავადებათა დეპარტამენტებთან.



ფუძვლების კურსს, რომლის შინაარსსაც წარმოადგენს:

- კვლევა და კვლევასთან დაკავშირებული სხვადასხვა დონის ცივილიზაცია;
- კვლევის ტიპი და მეთოდოლოგია;
- არსებული საინფორმაციო რესურსების გამოყენებით სამედიცინო ლიტერატურის მოძიება და ა. შ.

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის საქმიანობის მიზანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამედიცინო კვლევის საფუძვლების კურსის განხორციელება და სტუდენტთა სამედიცინო კვლევის კოორდინაცია.

ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიზნად ისახავს სტუდენტებში განავითაროს:

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების და ცოდნის გამოყენების უნარები;
- სამედიცინო პრაქტიკაში ბიოსამედიცინო კვლევის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების უნარები;
- კრიტიკული ანალიზის, სწორი დასკვნების გაკეთების და მათი პრაქტიკაში განხორციელების უნარები.

სტუდენტებისათვის სამედიცინო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბება მოიცავს:

- სამედიცინო კვლევების დამატებით ჩატარებას;
- კრიტიკულ მეცნიერულ აზროვნებას;
- უძველესი ინტერპრეტაციას;
- სტუდენტის სამედიცინო ინტერესის სფეროში ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს.

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი უშუალოდ ახორციელებს სამედიცინო კვლევის სა-

2015 წლიდან დღემდე სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ბუკარესტის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (უკრაინა) მიერ ორგანიზებულ სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ყოველწლიურ საერთაშორისო სამედიცინო სამედიცინო კონგრესში. აღნიშნულ კონგრესებზე 2015 წელს ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ლუიზა გაბუნია და უფროსი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი შორენა ხეცურიანი დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით. ცენტრის თანამშრომლების ხელმძღვანელობით, თსუ-ის კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების მიერ მომზადებული სამედიცინო პუბლიკაციები ყოველწლიურად იბეჭდება უკრაინის ახალგაზრდა მეცნიერთა ჟურნალში — „Chist” (Ukrainian Medical Journal of Young Scientists).

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ყოველწლიური „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე. სწორედ ზემოაღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა სამედიცინო კონფერენციები,

რომლებშიც თსუ-ის სხვადასხვა დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა, კლინიკების წარმომადგენლებმა, ახალგაზრდა მეცნიერებმა და სტუდენტებმა წარმოადგინეს მეცნიერული სიახლეები, ისაუბრეს მათი პრაქტიკული გამოყენების გზებსა და პერსპექტივებზე.

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრმა მოიპოვა CRDF-ის დაფინანსება პროფესიული უნარების ტრენინგების საგრანტო პროგრამის კონკურსში (2015 წელი); საგრანტო პროგრამა მოიაზრება ტრენინგებს პროფესორ-მასწავლებლებისთვის, დოქტორანტების, რეზიდენტებისა და დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისათვის.

ორფეუსის (ევროპის ბიოსამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების დარგში სადოქტორო განათლების ორგანიზაცია) მე-11 კონფერენციაზე (კიოლინი, გერმანია), სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, ნათია გამყრელიძემ, ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, მოამზადა და წარადგინა მოხსენება თსუ-ში სამედიცინო უნარ-ჩვევების სწავლების უნიკალური შესახებ. აღნიშნულ ღონისძიებებზე დასასრულად მან მოიპოვა ორფეუსის და ამერიკის საუნივერსიტეტო კვლევის პროგრამის მხარდაჭერის გრანტი.

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამის (Horizon 2020) ფარგლებში — „EaP Plus“-ის ბროკერული შეხვედრის საგრანტო პროექტის კონკურსში (ICT Proposers - Day 2017) გამარჯვების შედეგად თსუ-ის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, ლუიზა გაბუნია, უნგრეთის ქ. ბუდაპეშტში, 2017 წლის 8-10 ნოემბერს, დაესწრო საპარტნიორო შეხვედრას — „ICT Proposers” - Day 2017, სადაც საუბარი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და

შეხვედრაში მონაწილე ევროკავშირის ან მასთან ასოცირებული ქვეყნების ორგანიზაციებს შორის კონსორციუმის შექმნის თაობაზე 2017-2020 წწ. Horizon 2020-ის მომავალ საგრანტო პროექტებში.

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა: მეთოდური რეკომენდაციები — „სამედიცინო კვლევის საფუძვლები“ (2014.); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში ჩატარებული კონფერენციების მასალები (2015-2017 წლები); მეთოდური რეკომენდაცია - „ბიოსამედიცინო კვლევის პრაქტიკული საკითხები“, ორიგინალური სახელმძღვანელო — „მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევები“ (2016) — განახლებულ გამოცემას („სამედიცინო კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევები“) დაემატა ადამიანის მონაწილეობით მიმდინარე კვლევების ეთიკის, კვლევის მონიტორინგის, მისი ხარისხის შეფასებისა და სხვა საკითხები (2018 წ.).

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების და საერთაშორისო სამედიცინო განათლების მოთხოვნების გათვალისწინებით, სამედიცინო კვლევის საფუძვლების სწავლების სილაბუსს დაემატა პრაქტიკული საბაზისო ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული უნარების განვითარების საკითხები, რაც, თავის მხრივ, გაზრდის მომავალი სტუდენტთა მეცნიერებით დაინტერესებას; სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი, ასევე, მიზნად ისახავს სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების სხვადასხვა დეპარტამენტში თუ სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში მიმდინარე კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდას, მის კოორდინაციას და მხარდაჭერას.

სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული პროორტეტების დადგენა, გრძელვადიანი და ერთწლიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგში მონაწილეობა;
- სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია — სწავლის, სწავლებისა და ცოდნის მფასების თანამედროვე მეთოდოლოგიაში ტრენინგების ჩატარება აკადემიური პერსონალისა და მონეწველ მასწავლებლებისთვის დეპარტამენტთან არსებულ აკადემიური განვითარების ცენტრში;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და განხორციელება. შემოსხენებული მიმართულებებით დეპარტამენტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, სახელმძღვანელო:

დეპარტამენტში შემუშავებულია 2011-2017 წწ. და 2018-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების და სამწლიანი სამოქმედო გეგმები.

2009-2012 წლებში დეპარტამენტის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობდა სამედიცინო განათლების თემატური კვლევის MEDINE-2-ის საქმიანობაში. MEDINE-2 შეიქმნა ევროკავშირის ქვეყნებში ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავების მიზნით. აღსანიშნავია, რომ MEDINE-2-ში არაერთგვაროვანი წევრები შედიან საქართველო და თურქეთი იყო განვითარებული, ამასთან, საქართველოს წარმომადგენელ მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი და სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული გან-

ვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გაიანე სიმონია).

უნივერსიტეტის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ MEDINE-2-ის სამუშაო ჯგუფებში (ედინბურგი, 2010; ბუდაპეშტი, 2011; ვენა, 2011; ედინბურგი, 2012) და დიდი წვლილი შეიტანეს ევროპაში დიპლომადელი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ MEDINE-2-ის სამედიცინო განათლების სტანდარტების საფუძვლებზე ამ პროექტის მონაწილე ქვეყნებიდან, პირველად საქართველოში 2010 წელს შემუშავდა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, რაც საფუძვლად დაედო საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებს (2011-2017 წწ.). 2017 წელს დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ გაიანე სიმონიას მონაწილეობით მოხდა არსებული დარგობრივი მახასიათებლის განახლება.

2011-2014 წლებში ევროკომისიის მიერ დაფინანსდა დეპარტამენტში შემუშავებული სამწლიანი პროექტი „დიპლომადელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის განათლების ადმინისტრაციის ქვეყნებში“ (Modernising Undergraduate Medical Education in EU Eastern Neighboring Area, MU-MEENA). პროექტი მიზნად ისახავდა სამედიცინო განათლების თვისობრივ გაუმჯობესებას — ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ახალი მოდელის შემუშავებას და დაწესებულების საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებში. პროექტის კოორდინატორი იყო ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, ლიდის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ტრუდი რობერტსი. პროექტის განხორციელების პერიოდში

სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში (ლიდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი; უტრეხტის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები; გრანობის (ესპანეთი) და რომის (იტალია) უნივერსიტეტები) ტრენინგები გაიარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალისტის 15-მა პროფესორმა.

ასევე, ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანადამფინანსებით 2012 წელს დეპარტამენტთან შეიქმნა აკადემიური განვითარების ცენტრი, სადაც რეგულარულად მიმდინარეობს პროფესორ-მასწავლებლების გადამზადება. ამჟამად ცენტრში მოქმედებს ორი პროგრამა — „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგია“ და „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) - ჩატარების და შეფასების მეთოდოლოგია“. ცენტრში ტრენინგებს ატარებენ როგორც სამედიცინო განათლების საერთაშორისოდ აღიარებული უცხოელი ექსპერტები, ასევე უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებსაც მიენიჭათ ექსპერტების სტატუსი ევროპის წამყვან სამედიცინო სკოლებში. 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 20-მა წარმომადგენელმა გაიარა ტრენინგი თანამედროვე მართვის მეთოდებში.

სულ 2013-2018 წლებში უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების ცენტრში ტრენინგები გაიარა 482-მა პროფესორ-მასწავლებელმა. ტრენინგის შედეგები მოხსენებული იყო 2016-2018 წლებში ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) ყოველწლიურ კონფერენციებზე.

2013 წლის მარტიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მესამე კურსის სტუდენტებისთვის დაიწყო ახალი სასწავლო კურსი — შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (Case-based clinical reasoning - CBCR). კურსის მიზანია განუვითარ-

როს სტუდენტებს უნარი გამოიყენონ უკვე შექმნილი ცოდნა რომელიმე კლინიკური პრობლემის გადასაჭრელად იმ გზით, რომელსაც, ჩვეულებრივ, მიმართავს გამოცდილი ექიმი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ეს მეთოდი ამჟამად იხერგება ევროპის და აშშ-ის ბევრ წამყვან სამედიცინო სასწავლებელში და მიჩნეულია კლინიკური აზროვნების განვითარების მეტად ეფექტურ ინოვაციად. 2015 წელს ქალაქ გლაზგოში ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის კონფერენციაზე სპეციალური სხდომა მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცდილებას და მიღწევებს ამ სასწავლო კურსის დანერგვაში.

2014-2015 წლებში დეპარტამენტის ინიციატივით ქართულ ენაზე შეიქმნა და გამოიცა სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, სამედიცინო და კლინიკურ უნარ-ჩვევებზე, პორთფოლიოზე, გამოიკეთა თანამედროვე სახელმძღვანელო კლინიკურ გერიატრიაში. 2018 წელს გამოვიკვლია Springer-ის მიერ გამოცემული „Principles and Practice of Case-Based Clinical Reasoning Education“, რომელიც 2 თავი დაიწყო პროფესორ გაიანე სიმონიას თანაავტორობით.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეროვნული ავტორიზაციისთვის მზადებაში, რაც წარმატებით დასრულდა 2018 წლის სექტემბერში უნივერსიტეტისთვის სრული ავტორიზაციის მინიჭებით. ამჟამად დეპარტამენტის წინაშე დგას მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა — ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციისთვის მზადება, რისი მიღწევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების დიპლომების საერთაშორისო აღიარებას და პრესტიჟის ამაღლებას.



ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია თანამედროვე ავეჯით და ინვენტარით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს შეასრულონ სხვადასხვა სამუშაო, იმსჯელონ საინტერესო საკითხებზე და გამართონ დისკუსია. კომპიუტერულ დარბაზში ძველი მოდელის კომპიუტერული ტექნიკა შეცვლილია ახალი, მძლავრი კომპიუტერებით, რომლებიც ინტერნეტში ჩართულია საკაბელო ქსელით. მუშაობს, აგრეთვე, უკაბელო (Wi-Fi) ინტერნეტიც, რომელიც სრულად ფარავს, როგორც მთელ ბიბლიოთეკას, ასევე, წინამდებარე ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია ლეპტოპებით, მობილური ტელეფონებით, პლანშეტებითა თუ ტაბლეტებით ინტერნეტში ჩართვა. დაგეგმილია სტუდენტებისთვის ინდივიდუალურად ლეპტოპების გაცემის ორგანიზება ადგილზე მოხმარებისთვის.

ბიბლიოთეკა

2018 წელს ბიბლიოთეკაში დაინერგა ბევრი სიახლე:

გრძელდება წიგნადი ფონდის შევსება, გეგმით გათვალისწინებული შესყიდვის გარდა ბიბლიოთეკას ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან საჩუქრად გადმოეცა 832 დასახელების, სამედიცინო თემატიკის გამოცემლობა „წიგნას“ უახლესი წიგნები.

2018 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი სახელმძღვანელოებით მოემსახურა 100000-მდე მკითხველს.

წიგნების დასაცავად და ხარისხის შესანარჩუნებლად ბიბლიოთეკამ შეიძინა „პულვიზინას“ ფირმის წიგნების სანმენდი აპარატი.

ბიბლიოთეკის ფონდების დივიტიზაციისათვის შეიძინეთ Bookeye 4 V3 ფირმის სპეციალური წიგნების სკანერი, რომლის საშუალებითაც იგეგმება საავტორო უფლებების სრული დაცვით ჩვენთან დაცული წიგნების და სხვა მასალების დივიტიზაცია/გატექსტება.

მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ავტომატიზაცია. წიგნებს ენიჭება შტრიხკოდები, რაც ამარტივებს წიგნების გაცემა-ჩაბარების პროცედურებს.

ამუშავდა დავალიანების სექტორი, რისი საშუალებითაც ბიბლიოთეკას უზრუნველდება არაერთი წიგნი.

წიგნების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით რეკტორის ბრძანებულებაში მოხდა ცვლილება, რის საფუძველზეც ბიბლიოთეკაში წიგნადი დავალიანების მქონე სტუდენტებზე დიპლომი აღარ გაცემა.

უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე, კლინიკებსა და კვლევით ინსტიტუტებში ჩატარდა ტრენინგები ბიბლიოთეკის ელექტრონული სერვისების გასაცნობად.

უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს გაეხსნა ინდივიდუალური მომხმარებლის პროფილის ნებისმიერი ნერტილიდან ბიბლიოთეკის მიერ მონაცემთა ბაზებით სარგებლობა.

გაიხსნა უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულის ელექტრონული ვერსია. განახლებულ ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია 2016 და 2017 წლის ჟურნალის ელექტრონული ვერსიები.

შეიცვალა ბიბლიოთეკის სტრუქტურა, ფუნქციონირებს ტრენინგ-ოთახი, სადაც პერიოდულად ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგები.

ვებ-გვერდზე განთავსებულია ტრენინგზე დასარგისტრირებელი ფორმა.

ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთო უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ანტიპლაგიატის პროგრამის დახურვაში, მიმდინარეობს ბიბლიოთეკაში დაცული სადიპლომო ნაშრომების გაციფრება/გატექსტება და სპეციალურ პროგრამაში ატვირთვა.

ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ ქართველი და უცხოურენოვანი სტუდენტების აზრის კვლევისთვის, შესაბამის ვებ-გვერდზე დაიდო სპეციალურად შედგენილი კითხვარი, რომელსაც აქტიურად ავსებენ სტუდენტები.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრი მდიდარი კულტურული ცხოვრებითა და განსაკუთრებული მიღწევებით არის გამოჩენილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი – „ქართული ფოლკლორი“, დრამატული თეატრი – „ჰიგია“, თანამედროვე და სამედიცინო ცეკვების ანსამბლი – „ვეგა“, ტრადიციული მუსიკის გონათა ანსამბლი – „დეკა“, საესტრადო ჯგუფი, კლასიკური მუსიკის განყოფილება – საუკეთესო ასპარეზი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტებისათვის.

შთაბეჭდავია სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი – „ქართული ფოლკლორი“ 34-წლიანი ისტორიის მიღწევები: ერთგულად და საერთაშორისო კონკურსების და ფესტივალების 7 მთავარი პრიზის მოპოვება და ლაურეატობა, 3 ოქროს მედალი, ევროპარლამენტის დიპლომი, საბატიო

გასტროლები შეეცაში, აზერბაიჯანსა და მონაკოში. თეატრის რეჟისორის, თსსუ-ის ასოცირებული პროფესორის, ნათია გუჯაბიძის, ინიციატივით დაარსდა „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალი“ – „ნილაბი“, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება. თსსუ-ის სტუდენტური თეატრი „ჰიგია“ მრავალი ნომინაციის მფლობელი გახდა და დასახელდა საუკეთესო სტუდენტურ თეატრად.



კულტურის ზენსი

უნივერსიტეტის ქართველ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ლათინურ-ამერიკული და სამედიცინო ცეკვების ანსამბლი – „ვეგა“, რომელიც მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით აქტიურად ჩაბმულია საუნივერსიტეტო კულტურულ ცხოვრებაში.

მაყურებელთა დიდ მონონებას იმსახურებს კლასიკური მუსიკის განყოფილების და ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლ „დეკა“-ს კონცერტები და საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

წარმატებული იყო საესტრადო ჯგუფის გამოსვლები.

თსსუ-ის კულტურის ცენტრი კვლავაც აგრძელებს ნიჭიერ სტუდენტთა ძიებას და შემოქმედებით საქმიანობას, როგორც საქართველოში, ისე – უცხოეთში. თსსუ-ის ხელმძღვანელობის უდიდესი მხარდაჭერა და სტუდენტების აქტიურობა კი მომავალი წარმატებების საწინდარია.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტის ცენტრი გამორჩეულია განსაკუთრებული სპორტული მიღწევებით.

უნივერსიტეტის სპორტულ ბაზებზე რეგულარულად ტარდება შიდასაუნივერსიტეტო სპორტული შეჯიბრებები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ქართველი, ასევე, საერთაშორისო სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: კალათბურთის, მინი-ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, ბადმინტონის, ჩოგბურთის, ჭადრაკის, ძალისმიერი სამჭიდისა და მკლავჭიდის სპორტული ჯგუფები, ამასთანავე, სტუდენტების განკარგულებაშია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ტრენაჟორებისა და ფიტნესის დარბაზები,

რომლებიც სტუდენტთა აქტიური დასვენების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების განუყოფელი ნაწილია. სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული და საერთაშორისო სტუდენტთა გამარჯვების მკაფიო და თვალსაჩინო დასტურია გასულ წელს, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში, სპორტულ მიღწევათა შთაბეჭდავი ნუსხა.

2018 წლის 13-25 თებერვალს, ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი – „რკინის ევრაზია“ – ძალისმიერ სამჭიდსა და სამჭიდის ცალკეულ მოძრაობებში, სადაც ჩვენი უნივერსიტეტის ძალისმიერმა სამჭიდელმა საუკეთესო შედეგები აჩვენა. მათ შორის არიან: გიგა კოპა-ლიძე, ზურაბ დობაძე, ნანა სხილაძე, – მედიცინის ფაკულტეტი; დემურ თოთლაძე, – სტომატოლოგიის

სპორტის ზენსი

ფაკულტეტი; გიორგი მეტივიშვილი, – ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი; პავლე ლაღაძიშვილი, – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი.

2018 წლის 29-30 ივნისს, ქ. თელავში ჩატარდა საქართველოს თასის გამათამაშებელი საჭიფო, სადაც თსსუ-ის სტუდენტმა სპორტსმენებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. სასიხარულოა, რომ 2018 წელს თსსუ-ის კალათბურთის ნაკრებმა გუნდმა უმაღლეს ლევაში თამაში უფლება მოიპოვა (მწვრთნელი – სერგო იმხნელი).

საქართველოს „უნივერსიდა 2018“-ში მონაწილე 45 აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელს შორის თსსუ-მა მე-3 საბატიო ადგილი მოიპოვა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტ სპორტსმენების მონაპოვარია 5 ოქროს, 7 – ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი. გვასახელეს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა: ნინო ცოცხალაშვილი (2 ოქროს მედალი მაგიდის ჩოგბურთში (პირადი და წყვილებში), ბრინჯაოს მედალი – ბადმინტონში), ვინსენტ შარი ტონმა (ოქროს მედალი – ბადმინტონში), ასვინ პარამასივანმა (ვერცხლის

მედალი – ბადმინტონში), თორნიკე ჭილაძემ (ვერცხლის მედალი – მკლავჭიდში), ზურაბ დოლაბერიძემ (ვერცხლის მედალი – ნოლჭიმში), გიორგი ბარისაშვილმა (ვერცხლის მედალი – ნოლჭიმში), სოლომონ ერგემიძემ (ბრინჯაოს მედალი – მაგიდის ჩოგბურთში), ლუკა გვენეტაძემ (ბრინჯაოს მედალი – მაგიდის ჩოგბურთში), სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა: ლევან ბალაშვილმა (ოქროს მედალი – სამბოში), ანეტა სოხაძემ (ოქროს მედალი – მაგიდის ჩოგბურთში, (წყვილებში), საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტმა: პავლე ლაღაძიშვილმა (ვერცხლის მედალი – ნოლჭიმში, ბრინჯაოს მედალი – მკლავჭიდში), გოგიტა დევიდარიანმა (ბრინჯაოს მედალი – ნოლჭიმში); მაგისტრმა, ირაკლი ფანჯულიძემ (ვერცხლის მედალი – მარჯვენა ხელით და ბრინჯაოს მედალი – მარცხენა ხელით მკლავჭიდში, ვერცხლის მედალი – ნოლჭიმში); ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტმა – გიორგი მეტივიშვილმა (ოქროს მედალი – ნოლჭიმში). თსსუ-ის სტუდენტმა სპორტსმენებმა უკან ჩამოიტოვეს საქართველოს ტექნიკური,

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტები, ისინი ერთმა ოქროს სინჯმა დაამორა უნივერსიტეტის ჩემპიონობას. სპორტის ცენტრში მოქმედებს საექიმო კაბინეტი, რომელიც ემსახურება სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს. 2018 წელს საექიმო კაბინეტის მომსახურებით ისარგებლა 450-ზე მეტმა ადამიანმა, აქედან – 350-მა სტუდენტმა და 100-მა თანამშრომელმა.

„საქართველო გაზეთის“ რედაქცია

ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64

რედაქტორი ლელა მუკბანიანი კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97 ელ-ფოსტა newspaperstsmu@gmail.com

